რა არის რა

# ევროპა

ტომი 41




საბავშვო ენციკლოპედია

რა არის რა

# ევროპა

დოქტორ ულრიკე რაიზახის და
დოქტორ რაინერ კიოტეს მიხედვით

ილუსტრაციები: ჯიოლიანო ფორნარი,
ფრანკ ქლინტი, იოახიმ კნაპე
და რაინერ ციგერი
რუკები: მიშელ შნაიდერი



*2004 წლის 1 მაისს ჩეხი ხალხი ფეიერვერკებით აღნიშნავდა ევროკავშირში შესვლას.*

საბავშვო ენციკლოპედია

# ჩვენს მკითხველს

ევროპა ერთ-ერთი კონტინენტია, უფრო ზუსტად, ევრაზიური კონტინენტის მხოლოდ მცირე ნაწილი. ევროპაში გაიფურჩქნა ანტიკური ხანის რომაული და ბერძნული კულტურები, რომელთა გავლენაც დღემდე უზარმაზარია.

ჯერ კიდევ უძველეს დროში შეიქმნა უზარმაზარი იმპერიები და პატარა სახელმწიფოები, რომელთა საზღვრები გამუდმებით იცვლებოდა. ევროპაში უამრავი ენა და ეროვნული კულტურა განვითარდა. მათმა მრავალფეროვნებამ თავისი დაღი დაასვა ევროპას. ხელოვნების, ლიტერატურისა და მუსიკის ეპოქალური მიმდინარეობები მთელ ევროპაში გავრცელდა.

ევროპა ერთიანი ქმნილებაა. წიგნში მოცემულია ისტორიის, კლიმატური ზონების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროსა და სახელმწიფოების ზოგადი დახასიათება. როგორ ფუნქციონირებს 25 წევრი-ქვეყნის გაერთიანება? რატომ არ მოიცავს ეკ მთელს ევროპას? რას ნიშნავს „ევროპა“ როგორც ასეთი? წიგნის ძირითადი ნაწილი ეკ-ს აქვს დათმობილი. რატომ არსებობს ეკ? რა შეიცვალა ევროს შემოღებით? ვინ მართავს ეკ-ს? რა ფუნქციები აქვს მას? ეკ-ის მაგალითზე შეიძლება განვიხილოთ, თუ როგორ ეძებს ევროპა როგორც დამოუკიდებელი ძალა, თავის ადგილს მსოფლიო არენაზე დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილების პოლიტიკური გახლეჩის დამთავრების შემდეგ. ამ და უამრავ საინტერესო საკითხებზე გიამბობთ თემატური ენციკლოპედიების — „რა არის რა“ — ამ ტომში.



ტომი 41


**სარედაქციო კოლეგია:**
ლიანა სოსელია (მთარგმნელი), ლამარა შენგელია, ნათელა თუხარელი,
ლალი ბიჭაშვილი (რედაქტორები), თინათინ დიდებულიძე (პროექტის ხელმძღვანელი),
მზია ლეკვეიშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

■ წიგნი დაბეჭდილია ეკოლოგიურად სუფთა ქაღალდზე



**გერმანული საავტორო უფლება**
Copyright © 2002, 2003, 2004, 2005 Tessloff Verlag, Burgschmietstr. 2-4, 90419 Nürnberg, Deutschland. http://www.tessloff.com
**ქართული საავტორო უფლება**
Copyright © 2006 სახაყმო ენციკლოპედია, თბილისი, 96, კოსტავას 14. http://www.elf.ge

ამ წიგნის ან მისი ნაწილის გავრცელება პრესით, ტელევიზიით, რადიოთი, ელექტრონული ვერსიით, ფილმის ან ფოტოების გადაღება და გამოცემა წიგნის ან სხვა რაიმე სახით, უცხოეთის გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია კანონით.



**ფოტოები:** ბერლინის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმი: S. 10(5), 11(4), 12(5), 13ol, 13or, 22m; კორბის, დიუსელდორფი: S. 33ul, 35or, ცივრული ბეჭდვა: S. 6r, 46ul; ფრანკფურტის მუზეუმი: S. 16r, 13ur,14o, 14mr, 16r, 18ol, 27or, 27ml,27ol, 28ur, 33or, 34or, 36ol, 44ur, 48; ევროკომისიის ცენტრალური ბიბლიოთეკა: S. 2, 14u, 20ul, 21or, 23or, 27om, 36om, 37l, 38ur, 43u; მიუნხენის მუზეუმი: S. 50l, 5l, 15r, 48, 4ur, 41ur; ჰამბურგის მუზეუმი: S. 200r, 20ol, 21ul, 25ol, 32ul, 1, 6r, 39ur, 41u, 43u, 44u, 47ul, 47ur, 49ol; ფიქნერ პრესი: S. 6or, 41u, 42ur, 43ur, 45u,46ol,47ur, 48; ულშტაინი, ბერლინი: 280; ბერლინის ფოტოგალერეა: S. 34, 33ml, 42u, 45ul, 5om; Zefa, დიუსელდორფი: S. 35mr, 35ur, 47ul, 47u, 48l. **გარეკანის ფოტოები:** DPA, ფრანკფურტი, გეო ატლასი, პედეჟ; ლუსია ვაიგელი (ხელი);
**ილუსტრაციები:** ჯიულიანო ფორნარი (ფლორენცია) გვ.4-7, ფრენკ ქლიმტი (ჰამბურგი) გვ 37,41-47, იოახიმ კნაპე (ჰამბურგი) გვ. 19, 22-25, 27-30, 34-39; მიშელ შნაიდერი (ნიურნბერგი) გვ. 17, 23, 34, 38, 49-51; რაინერ ციგარ (ბერლინი) გვ 8-9




# შინაარსი




**დედამიწის ისტორია**
როგორი იყო ევროპა ადრე? 4
როგორ წარმოიშვა ალპები? 5
როგორ შეცვალა ევროპა გამყინვარების ხანამ? 5
**კლიმატი, ბუნება და ცხოველები**
რა განაპირობებს ევროპის კლიმატს? 6
როგორი მცენარეული საფარია ევროპაში? 6
რით განსხვავდება ხმელთაშუა ზღვის აუზი დანარჩენი ევროპისგან? 7
ცხოველთა რომელი სახეობაა გავრცელებული ევროპაში? 8
**ევროპის მოკლე ისტორია** 10
**ევროკავშირი**
რას წარმოადგენს ევროკავშირი? 14
როგორ შეიქმნა ევროკავშირი? 15
რატომ არსებობს ევროკავშირი? 16
რომელი ქვეყნები შედის ევროკავშირში? 17
არსებობს თუ არა ევროკავშირში სახელმწიფო საზღვრები? 18
რატომ არსებობს ევროკავშირში დაწესებული ნორმები თვით ვაშლის სიდიდეზეც? 18
შეუძლია თუ არა ყველა მომხმარებელს ევროკავშირის უპირატესობებით ისარგებლოს? 20
არის თუ არა ევროკავშირში ჯანსაღი კონკურენცია? 20
შეიძლება თუ არა ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში ცხოვრება და მუშაობა? 21
**რა შეიცვალა ევროს შემოღებით?**
რას ნიშნავს ,,ევროქვეყანა“? 22
რისთვის სჭირდება ევროკავშირს საერთო ვალუტა? 22
რატომ სჭირდება ვალუტას გაფრთხილება? 23
როდის შეიქმნა ევრო? 23
რა უპირატესობები გააჩნია ევროს? 24
რამდენად სტაბილურია ევრო? 24
**ევროკავშირის მთავრობა**
ჰყავს თუ არა ევროკავშირს თავისი მთავრობა? 26
აქვს თუ არა ევროკავშირს დედაქალაქი? 27
როგორ აღწევენ ურთიერთშეთანხმებას სახელმწიფოები? 28
ვინ დგას ევროკავშირის სათავეში? 29
რას აკეთებს ევროკავშირის კომისია? 30
რა გადაწყვეტილებებს იღებს ევროპარლამენტი? 30
ვინ არიან ევროპარლამენტის წევრები? 31
რას განიხილავს ევროსასამართლო? 32
ჰყავს თუ არა ევროკავშირს საკუთარი არმია? 32
**ევროკავშირის მოქალაქეები და ენები**
ვინ მუშაობს ევროკავშირისთვის? 33
რომელ სკოლაში სწავლობენ ევროკავშირის მოხელეთა შვილები? 33
რომელ ენაზე ლაპარაკობენ ევროკავშირში? 34
**ევროკავშირის ფინანსები**
როგორ ფინანსდება ევროკავშირი? 35
რა მიზნებისთვის ხარჯავს ევროკავშირი თანხებს? 35
ეხმარება თუ არა ევროკავშირი სუსტ რეგიონებს? 36
რომელ კვლევით დარგებს აფინანსებს ევროკავშირი? 36
**მსოფლიო ვაჭრობა და მომავალი**
რა როლს ასრულებს ევროკავშირი მსოფლიო ვაჭრობაში? 37
როგორ ეხმარება ევროკავშირი სხვა სახელმწიფოებს? 38
როგორი იქნება ევროკავშირი მომავალში? 38
რა შესაძლებლობები იქმნება ევროკავშირის გაფართოებით? 39
**ევროპის მოწყობა**
შეუძლიათ თუ არა ევროკავშირის მოქალაქეებს აზრის გამოთქმა? 40
რა პროექტები არსებობს ევროპის ახალგაზრდებისთვის? 40

**ქვეყნების ლექსიკონი** 41

**ევროპელ ბავშვთა დღესასწაულები** 48

**საძიებელი** 48









ერთი კონტინენტური ბაქანი მეორის ქვეშ იძირება, რის შედეგადაც ზღვის დანალექი ქანები ნაოჭდება და მთათა სისტემებს ქმნის.

# დედამიწის ისტორია

**როგორი იყო ევროპა ადრე?**

ჩვენი დედამიწა განუწყვეტლივ იცვლება, შესაბამისად, იცვლება კონტინენტებიც. ისინი ჩნდებიან დედამიწის ზედაპირზე, იყოფიან და კვლავ ერთდებიან. სწორედ ამიტომ უძველეს დროში დედამიწა სრულიად სხვაგვარად გამოიყურებოდა.

დღევანდელი ევროპის ტერიტორია მრავალი მლნ წლის მანძილზე ეკვატორთან ახლოს მდებარეობდა. 450 მლნ წლის წინ იგი უამრავი კუნძულისგან შედგებოდა და ორ კონტინენტს შორის მოქცეულ ოკეანეში იყო გაშლილი. სწორედ ამ პერიოდში ზღვის დანალექი ქანებისგან წარმოიშვა ნორვეგიისა და შოტლანდიის მთიანეთი.

300 მლნ წლის წინ ხმელეთმა ამოიწია და პრეისტორიული უღრანი ტყეებით დაიფარა. იმდროინდელი ქანები შემორჩენილია ინგლისის სამხრეთ-დასავლეთსა და საფრანგეთის ცენტრალურ მასივში, არდენის ტყეში, რაინის შიფერის მთიანეთში, სუდეტებსა და ჰარცში, ასევე ურალში. უძველეს ჭაობიან დაბლობებში გაუვალი ტყეები ხარობდა. სწორედ ამ ტყეებისგან მოგვიანებით წარმოიშვა ევროპის ქვანახშირის საბადოები.

280 მლნ წლის წინ ევროპის ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოს ეკავა. მცხუნვარე მზის სხივებით გაჯერებულ მდინარეებსა და ტბებში ილექებოდა წითელი ქანები, რომლებისგანაც შემდგომში წითელი ქვიშა-ქვა წარმოიშვა. უდაბნო მალე ზღვის თბილმა წყალმა



*ჩვენი დედამიწა 200 მლნ წლის წინ და...*



*...დღეს*

*200 მლნ. წლის წინ ჩრდილოეთ ამერიკისა და ევრაზიის კონტინენტები ერთმანეთს იყო მიბმული. დედამიწის გულში მიმდინარე პროცესების შედეგად ისინი ერთმანეთს დაშორდნენ — წელიწადში, დაახლოებით, 2სმ-ით. ასე წარმოიშვა ჩრდილოეთ ატლანტიკა.*

**ვულკანები**

დღეს ევროპაში ვულკანები ისლანდიასა და ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიებზეა. ევროპის ყველაზე დიდი მოქმედი ვულკანია ეტნა (სიცილია). ნეაპოლთან მდებარე ვეზუვი ამჟამად თვლემს, თუმცა მრავალგზის ამოიფრქვა დამანგრეველი ძალით.



*სტრომბოლი იტალიაში*

სტრომბოლის ამოფრქვევები ჩრდილოეთ სიცილიაში შედარებით ნაკლებად მასშტაბურია.

**დიდი ქვაბული**

შვარცვალდსა და ფოგეზენს შორის კონტინენტების შეჯახების შედეგად ჩრდილოეთის მიმართულებით დაახლოებით 5კმ-ის სიგრძეზე ხმელეთი ჩაიძირა და წარმოქმნილი უზარმაზარი ქვაბული მოგვიანებით ნაწილობრივ ამოივსო ჩამონაშალით. დღესდღეობით მას ზემო რაინის ქვაბულს უწოდებენ.

დაფარა; სწორედ ზღვის დანალექი ქანები შეადგენს ალპების, შვაბეთისა და ფრანკეთის მთიანეთის, სამხრეთ გერმანიის. პარიზისირგვლივ მდებარე და ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთის შრეების ნაწილს. 70 მლნ წლის წინ დღევანდელი ევროპის ტერიტორია კვლავ ხმელეთად იქცა, ხოლო 18000 წლის წინ მისი უზარმაზარი ნაწილი ყინულის სქელმა ფენამ დაფარა.



ნორვეგიის ფიორდები ყინულოვანი ნაკადებით დაღრღნილი ველებია. სადაც ზღვა შეიჭრა.

### როგორ წარმოიშვა ალპები?

ალპების უზარმაზარი მთიანეთის წარმოშობა ევროპის კონტინენტის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთამნიშვნელოვანი ეტაპია. ეს პროცესი დაიწყო დაახლოებით 50 მლნ წლის წინ, როდესაც აფრიკის კონტინენტი ევროპას შეეჯახა, ამას მოჰყვა ზღვის დანალექი ფენებისა და შედარებით ძველი ქანების ამოძრავება და დანაოჭება. ამგვარადვე წარმოიშვა პირენეები ესპანეთსა და საფრანგეთში, იტალიის აპენინები და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე მთიანეთი, მათ შორის კარპატებიც. მთები სიმაღლეში დღემდე იზრდება; მაგალითად, შვეიცარიის ალპები წელიწადში დაახლოებით 1მმ-ით იმატებს. კონტინენტების შეჯახებამ უამრავი პროცესი გამოიწვია. დაახლოებით 50 მლნ წლის წინ შუა ევროპაში. აიფელს. ზიბენგებირგესა და რონში ვულკანებმა ამოხეთქა. ვულკანების მოქმედება დღემდე გრძელდება. სწორედ ამ გეოლოგიური პროცესების შედეგია ხმელთაშუა ზღვის აუზში მომხდარი მიწისძვრები.

### როგორ შეცვალა ევროპა გამყინვარების ხანამ?

2 მლნ წლის წინ დედამიწაზე ტემპერატურა შესამჩნევად დაეცა, რამაც მყინვარების ზრდა და ზღვის დონის 100მ-ით დაწევა გამოიწვია. რადგან წყლის დიდი რაოდენობა ყინულად იქცა. მყინვარი ევროპის ჩრდილოეთიდან ცენტრალური ნაწილისკენ დაიძრა და ხმელეთი დაფარა ყინულის სქელი ფენით, რომლის სისქეც რამდენიმე ასეული მეტრი იყო. დათბობის პერიოდებში მყინვარები დნობას იწყებდა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ყინულოვან ნაპირებს შორის ყინულისგან თავისუფალ, მხოლოდ მწირი მცენარეული საფარით დაფარულ ადგილს განუწყვეტლივ რეცხავდა მყინვარების ნადნობი წყლები, რის შედეგადაც ხმელეთი სახეს იცვლიდა: იგი წყლის მიერ მოტანილი ქვიშისა და ღორღის უზარმაზარი მასით იფარებოდა. მატერჰორნის წიბოვან ფორმას სწორედ მყინვარები განაპირობებს. ბალტიის ზღვის სანაპირო იმდროინდელი ქვიშოვანი დანალექებითაა დაფარული. ყინულმა უამრავ ადგილას დატოვა ღრმულები, რომლებშიც შემდგომში ტბები და ჭაობები გაჩნდა.

## უძველესი დროის ნამარხები




ევროპაში დინოზავრები ბადაა შემორჩენილი, რადგან ხმელეთზე დინოზავრების ბატონობის ხანაში ევროპის დიდი ნაწილი ზღვით იყო დაფარული. თუმცა ბავარიის სოლნჰოფენში 150 მლნ წლის წინ თბილმა ზღვამ დატოვა დანალექი ქანები, რომლებმაც ზუსტად შემოინახა ზოგიერთი ცოცხალი არსების ნაშთი. აქ იპოვეს ერთი ასეთი ნაშთი, რომელშიც დინოზავრისა და ფრინველის დამახასიათებელი ნიშნები იყო გაერთიანებული ეს იყო პრეისტორიული ფრინველი. ბალტიის ზღვის სანაპიროებზე დაახლოებით 40 მლნ წლის წინ წიწვოვანი ტყეები ხარობდა. მათი დანალექები დროთა განმავლობაში ქარვად გადაიქცა. ქარვის ქვებში მცირე ზომის ცხოველთა ნაშთები შემორჩა. დაახლოებით 600000 წლის წინ ნეკართან ცხოვრობდა „ჰომო ჰაიდელბერგენსისი". რომელიც ევროპის უძველეს ადამიანად ითვლებოდა, სანამ საქართველოში. დმანისთან ჩატარებული გათხრებისას არ აღმოჩნდა უფრო ძველი დროის ადამიანების ნაშთები, რომლებიც მილიონ 800 ათასი წლით თარიღდება.



# კლიმატი, ბუნება და ცხოველები

**რა განაპირობებს ევროპის კლიმატს?**

ევროპის შედარებით თბილ კლიმატს გოლფსტრიმი — ატლანტის ოკეანის თბილი დინება განაპირობებს. შუა ევროპა და კანადის ლაბრადორი ერთსა და იმავე განედზე მდებარეობს. ლაბრადორში ზამთარი ხანგრძლივია, ტემპერატურა, მეტწილად — მინუს 40 გრადუსი. ასევე უნდა იყოს ევროპაშიც, მაგრამ მექსიკის სანაპიროდან გოლფსტრიმს წამში დაახლოებით 150 მლნ მ$^3$ თბილი წყალი მოაქვს და ამით საშუალო წლიურ ტემპერატურას ამაღლებს. ამას ემატება გაბატონებული დასავლეთის ქარებიც, რომლებსაც ატლანტის ოკეანიდან თბილი, ნოტიო ჰაერი მოაქვთ. ამიტომ ევროპის დიდ ნაწილში, განსაკუთრებით დასავლეთში, წვიმიანი, ცხელი ზაფხული და რბილი ზამთარი იცის. ზღვიდან მოდენილი ჰაერის გავლენა ნელ-ნელა მცირდება აღმოსავლეთისკენ — ჰავა მშრალი კონტინენტურია, ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით.

სამხრეთ ევროპის კლიმატი განსხვავებულია, რადგან ალპები და პირენეები ხმელთაშუა ზღვასა და ევროპის დანარჩენ ნაწილს შორის ერთგვარ საზღვარს ქმნის. აქ სუბტროპიკული ჰავაა, ცხელი, მშრალი ზაფხულითა და რბილი, წვიმიანი ზამთრით.

*ევროპის ფლორა უამრავი გარეული და კულტურული მცენარეებისგან შედგება. თბილ ზონებში ლეღვი, ზეთისხილი, ლავანდა და ყურძენი ხარობს. დანარჩენი მცენარეები ნებისმიერ ადგილას მოდის.*

**როგორი მცენარეული საფარია ევროპაში?**

ევროპა ევრაზიის კონტინენტის ნაწილია, ამიტომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფლორა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა, უნდა ითქვას, რომ აზია სახეობების მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამის მიზეზია ალპები. მყინვარებით დაფარული მთიანეთი გამყინვარების ხანაში ერთგვარ ჩამკეტ ზოლს ქმნიდა. ცხოველებისა და მცენარეების უამრავი სახეობა ვერ ახერხებდა სამხრეთისკენ გადანაცვლებას და იღუპებოდა. მხოლოდ მცირედმა ნაწილმა შეძლო გამყინვარების დასასრულს ამ მთიანი ბარიერის გადალახვა.

შუა ევროპაში გაბატონებული მცენარეული საფარია ფოთლოვანი ტყეები, რომლებსაც შემოდგომაზე ფოთლები სცვივა. შედარებით ნესტიან დასავლეთში მუხა და არყის ხეები სჭარბობს, შუა ნაწილში კი (მათ შორის გერმანიაში) წიფლისა და მუხის გარდა, სხვა სახეობებიც ხარობს. აქ გაშენებული ნაძენარი ადგილობრივ მცენარეულ საფარს არ წარმოადგენს, ამიტომ საკმაოდ ძნელი მოსავლელია. სამხრეთ-აღმოსავლეთში გადაშლილია სტეპები, რადგან ნალექი მცირეა და ხეების ხშირი საფარის ზრდისთვის არ კმარა.

ჩრდილოეთ ევროპაში კლიმატი შედარებით ცივია და ამიტომ ფოთლოვან ტყეებს ცვლის შერეული ტყის ზონა, რომელიც თანდათან



*ნორვეგიის ზღვა*





*ბირკენვალდი შვედეთში*



*ირლანდიის საძოვრები*



*ლავანდის პლანტაცია იტალიაში*



ბაბუაწვერა



კლდის მუხა



ნაძვი



ლავანდა



ლეღვი



პოლარული კლიმატი
მთის კლიმატი
ცივი-ზომიერი კლიმატი
ნესტიანი-ზომიერი კლიმატი
მშრალი-ზომიერი კლიმატი

წიწვოვან ტყეში გადადის, სადაც მეტწილად ფიჭვი და ნაძვი ხარობს, რადგან ცივ, ხანგრძლივ ზამთარს მხოლოდ ეს ხეები უძლებს. მსგავსი ტყეები ასევე მრავლად გვხვდება სამხრეთში, ცენტრალური მთიანეთის ფერდობებსა და ალპების შედარებით მაღალ რეგიონებში. წიწვოვანი ტყის ზოლი გარს ეკვრის მთელ დედამიწას. თუ კვლავ ჩრდილოეთისკენ გადავინაცვლებთ, ჩვენს წინ არყის ტყეები გადაიშლება, რომლებიც თანდათან ტუნდრაში გადადის, სადაც მხოლოდ დაბალი ბუჩქნარი და ლიქენები ხარობს.

**ახალმოშენეები**
ევროპაში ბოლო ათწლეულებში ცხოველებისა და მცენარეების მთელი რიგი სახეობები გავრცელდა (თითქმის შეუმჩნევლად). ენოტები, ენოტისებრი ძაღლები და მონადირეებს გადარჩენილი ხოხბები მშვენივრად მოერგნენ აქაურ ეკოსისტემას. ზოგიერთმა კი, მაგალითად, ჩინურმა კიბორჩხალამ, უკადრისამ და ჰერკულესის კომბოსტომ ადგილობრივ სახეობებს შეუქმნა საფრთხე.

ხმელთაშუა ზღვის აუზი ჩრდილო ევროპისგან განსხვავებით მდიდარია მცენარეული საფარით, რადგან აქ გამყინვარების პერიოდში მცენარეთა შედარებით ნაკლები სახეობა გადაშენდა. აქაური მცენარეები შეგუებულნი არიან სპეციფიკურ კლიმატს: ზამთარი თბილი და რბილია, სამაგიეროდ, ზაფხულია ძალიან მშრალი და ცხელი. ამიტომ ადგილობრივ ტყეებში წიწვოვანი ხეებიდან უმეტესად ალეპოს ფიჭვი გვხვდება, ასევე ხარობს მაგარმერქნიანი მარადმწვანე ხეები, როგორიცაა, კორპი, წაბლი და კლდის მუხა. შედარებით მაღალ და გრილ ადგილებში ევროპული წაბლი, წითელი წიფელი და ბუსუსიანი მუხაც ხარობს.

**რით განსხვავდება ხმელთაშუა ზღვის აუზი დანარჩენი ევროპისაგან?**

უნდა აღინიშნოს, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველესი ფლორა ნაკლებადაა შემორჩენილი: საუკუნეების განმავლობაში ადამიანებმა უზარმაზარი ტერიტორიები გაჩეხეს, ხეები სამშენებლო და საწვავ მასალად გამოიყენეს, გარდა ამისა, ზაფხულობით ხშირად ჩნდებოდა ხანძარი, რომელიც ანადგურებდა ტყის საფარს; გაშიშვლებულ ფერდობებს წვიმა რეცხავდა, ნიადაგს შლიდა და ხეებისა და ბუჩქების ახალი საფარის წარმოქმნას უშლიდა ხელს. ბევრ ადგილას ტყეების ადგილს ბუჩქნარი იკავებს: საკმევლის, მურტის, ასკილისა და სხვა ყვავილოვანი ბუჩქები ტევრებადაა გადაშლილი. შედარებით მშრალ ადგილებში ორქიდეები, ჯუჯა ბუჩქები და ბალახეული ხარობს. ეს მცენარეები მობალახე ცხვრებისა და თხებისგან თავს ეკლებით იცავენ; მათ სპეციფიკური სუნი და გემო აქვთ. ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სანელებლები, როგორიცაა ზირა, მაიორანი, ლავანდა, სალბი და ბარამბო, ამიტომ ცხელ დღეებში ჰაერი მძაფრი არომატითაა გაჯერებული.


ვაშლი


ყურძენი


ზეთისხილი


ჭვავი


კარტოფილი (კარტოფილის ხოჭოთი)

### ცხოველთა რომელი სახეობაა გავრცელებული ევროპაში?

ევროპაში უძველეს დროში გავრცელებული ცხოველებიდან დღეს ცოტა თუ შემორჩა. გამყინვარების პერიოდამდე ევროპაში თბილი კლიმატი იყო, ამიტომ იგი ცხოველთა სიმრავლით გამოირჩეოდა. აქ მრავლად იყო აზიიდან ან ჩრდილოეთ ამერიკიდან შემოსული ცხოველთა სახეობები, მაგალითად, მარტორქები, ლომები, ნიანგები და ბეჰემოტები.

გამყინვარებას ცხოველთა მხოლოდ რამდენიმე სახეობამ გაუძლო, მათ შორის, მამონტებმა, გამოქვაბულის ლომებმა, დათვებმა და გიგანტურმა ირემმა. დანარჩენებმა ვერ შეძლეს ალპების გადალახვა და სამხრეთში გადასვლა, ამიტომ გადაშენდნენ. ცხოველთა თანამედროვე სახეობათა დიდი ნაწილი სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოვიდა გამყინვარების შემდეგ. ესენი იყვნენ, უპირველესად, ტყის ცხოველები: ირემი, გარეული ღორი, ციყვი, ფოცხვერი, მაჩვი, მგელი, გარეული კატა, ტურა და დომბა. გამყინვარების ხანის მრავალი ცხოველისთვის დათბობა დამღუპველი აღმოჩნდა და ისინი გადაშენდნენ.

ათასწლეულების განმავლობაში ადამიანი განუწყვეტლივ ცვლიდა ევროპის ლანდშაფტსა და შესაბამისად, იქ მობინადრე ცხოველთა სახეობებს. ტყეების დიდი ნაწილი გაიჩეხა და სახნავ-სათეს მიწებად და მინდვრებად იქცა. ტყის დიდმა ცხოველებმა, რომელთაც საარსებოდ ფართო არეალი ესაჭიროებოდათ, აუთვისებელი ტერიტორიებისკენ გადაინაცვლეს, მათი ადგილი კი აღმოსავლეთის სტეპებიდან მოსულმა ცხოველებმა დაიკავეს,






ველ-მინდვრები:
1 მინდვრის ტოროლა
2 ყვავი
3 კაკაჩა
4 ზღარბი
5 მინდვრის კურდღელი
6 მინდვრის თაგვი
7 დღის პეპელა „ფარშევანგისთვალა"
8 ველური ფუტკარი
9 კეთილშობილი ირემი
10 შველი

შიდა წყლები:
11 ნაცრისფერი ყანჩა
12 გარეული იხვი
13 თეთრი წერო
14 წავი
15 ბაყაყი
16 ჭრიჭინა

ტყე:
17 ბულბული
18 ჭრელი კოდალა
19 დიდყურა ბუ
20 ჩხიკვი
21 გრძელყურა ღამურა
22 გარეული ღორი თავისი გოჭებით
23 მაჩვი
24 მელია
25 ჩვეულებრივი ანკარა
26 ციყვი
27 მგლები

მთიანეთი:
28 ვირზაზუნა
29 ჯიხვი
30 არჩვი
31 მთის არწივი
32 ხვლიკი

სანაპირო და ზღვა:
33 ზღვის თოლია
34 ზღვის მერცხალი
35 ჩვამა
36 მექვიშია
37 ჩიტბატონა
38 პრანწია
39 სელაპი
40 კიბორჩხალა
41 მოლუსკები
42 ნავაგა
43 სარდინები
44 სკუმბრია
45 ქამბალა




მაგალითად, ბოცვრებმა. გარდა ამისა, ადამიანმა თითქმის გაანადგურა ხორციჭამია ცხოველები, კერძოდ, დათვი და მგელი. შედარებით მიუდგომელ ადგილებში შემორჩნენ შუა ევროპისთვის დამახასიათებელი ცხოველები, როგორიცაა: ირემი, შველი, კვერნა, მელა, მაჩვი, ზღარბი, ციყვი, თაგვი და ღამურა; უამრავი ტყის ფრინველიც, როგორც მგალობელი, ასევე, მტაცებელი.

ფრინველთა დანარჩენი სახეობები ადამიანებს შეეჩვიენ. მათ ბინა ქალაქებსა და სოფლებში დაიდეს, მაგალითად, შაშვებმა, მერცხლებმა, ბეღურებმა, წეროებმა, ბატებმა და იხვებმა. მაღალმთიან ალპურ ზონაში ბინადრობენ ვირზაზუნები, მთის თხები, არჩვები, მთის არწივები. შორეულ ჩრდილოეთში ვხვდებით ლოსს, რომელიც ერთ დროს შუა ევროპაში ბინადრობდა, ჩრდილოეთის ირემს, ლემინგსა და სამურავს.




ხმელთაშუა ზღვის თბილ აუზში ბინადრობს შუა ევროპის ცხოველთა უმეტესობა. გამყინვარების შემდეგ ისინი ჩრდილოეთიდან გადმოვიდნენ და გავრცელდნენ. გარდა ამისა, ჩრდილოეთ აფრიკასა და მცირე აზიასთან სიახლოვის გამო, ბევრი ისეთი სითბოს მოყვარული ცხოველიც გვხვდება, რომლებიც ევროპის თავდაპირველ ბინადართა რიგს არ მიეკუთვნება. ასეთები არიან, მაგალითად, მანგუსტი, ტურა, მაჩვ-ზღარბი, გიბრალტარის ბერბერული მაიმუნები, ხოლო ათასწლეულების წინ აქ ლომებიც ბინადრობდნენ. მაგრამ ადამიანმა გაჩეხა მათი საცხოვრებელი ადგილები და განდევნა დიდი ცხოველები. ტყეების გაქრობამ შექმნა ახალი საარსებო სივრცე, სადაც სითბოს მოყვარული მწერები და რეპტილიები მომრავლდა.

ხმელთაშუა ზღვის აუზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შუა ევროპის ფრინველთა სამყაროსთვის, ვინაიდან თბილ ქვეყნებში გადაფრენისას მათი დასასვენებელი ადგილია, გადამფრენი ფრინველების ნაწილი კი სწორედ აქ იზამთრებს.



# ევროპის მოკლე ისტორია

სიტყვა „ევროპა" ბერძნული მითოლოგიიდან მოდის. იგი ერქვა ფინიკიის მეფის მშვენიერ ასულს, რომელიც ზღვაში ბანაობისას ღმერთების მამამ, ზევსმა იხილა. მეხთამტყორცნელი ქალწულს ხარის სახით გამოეცხადა, მოიტაცა და კუნძულ კრეტაზე მიიყვანა. იქ მათ 3 შვილი შეეძინათ. ბერძნებმა მშვენიერი ქალის სახელი კონტინენტს დაარქვეს.

ანტიკური ხანის უდიდესმა სახელმწიფოებმა — საბერძნეთმა და რომის იმპერიამ თავიანთი ცივილიზაციითა და განვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობებით წარუშლელი კვალი დატოვეს ევროპის ისტორიაში. ათენში დემოკრატიის იდეა ჯერ კიდევ 2500 წლის წინ არსებობდა. ქრისტეშობამდე 753 წელს დაარსდა რომი. რომაელებმა შეითვისეს და მრავალი იდეით გაამდიდრეს ბერძნული კულტურა. მათ რამდენიმე ასეულ წელიწადში შექმნეს ძლევამოსილი იმპერია, რომელმაც მთელ კონტინენტზე მოახდინა გავლენა და ევროპის ტერიტორიაზე მოგვიანებით შექმნილი სახელმწიფოებისთვის სამაგალითო იყო.



*იმპერატორ ავგუსტუსის მმართველობის დროს (ქრისტეშობამდე 27 — ქრისტეშობიდან 14) დამყარდა ხანგრძლივი მშვიდობა, რამაც ქვეყნებს შორის ვაჭრობა, მოგზაურობა და კულტურათა შორის ურთიერთგაცვლა განაპირობა.*



*ვიკინგის მუზარადი შვედეთიდან.*

IVს-ის შუა ხანებში დასავლეთ მონღოლეთიდან წამოსული ჰუნების (თურქ-მონღოლოიდები. დღევანდელ ევროპაში მათი შთამომავლები არიან უნგრელები, ფინელები და ესტონელები) დამპყრობლურმა ლაშქრობებმა ხალხთა მიგრაცია გამოიწვია. ლტოლვილობისა და გადაადგილების 200-წლიანმა ტალღამ სრულიად შეცვალა ევროპის მანამდელი საზოგადოებრივი სტრუქტურები. წარმოიშვა ახალი იმპერიები, მათ შორის, აღმოსავლეთ



*ხარის სახით მოვლენილი ზევსი იტაცებს ევროპას.*

რომის იმპერია, რომლის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი იყო და ფრანკთა იმპერია დასავლეთში. ფრანკთა სახელგანთქმული მბრძანებელი კარლოს დიდი 800 წელს ცენტრალური და სამხრეთ ევროპის თითქმის მთელ ტერიტორიას განაგებდა.

შუა საუკუნეები მოიცავს ათასწლეულს, რომელიც Vს-ში რომის იმპერიის სრული განადგურებით იწყება და 1492 წელს ამერიკის აღმოჩენით მთავრდება. ადრეულ შუა საუკუნეებში ადამიანები მეტწილად მიწათმოქმედებას მისდევდნენ და სოფლად ცხოვრობდნენ. დაახლოებით 800 წლისთვის შესამჩნევი აღმავლობა დაიწყო: მიწის დამუშავების ახალი მეთოდების გამოყენებით მოსავლიანობამ იმატა, გახშირდა მოგზაურობა და მასთან ერთად ვაჭრობაც განვითარდა. დაიწყო ახალი ქალაქების მშენებლობა. დამპყრობლური ლაშქრობებისა და მისიონერული მოღვაწეობის წყალობით ქრისტიანობა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთშიც გავრცელდა.



*შუა საუკუნეებში შავმა ჭირმა უამრავი ადამიანი შეიწირა.*

თავადაზნაურობა ძალაუფლების ნიშნად და თავდაცვის მიზნით ციხესიმაგრეებს იშენებდა. ქალაქებში უამრავ ეკლესიებს აგებდნენ, ვაჭრობით გამდიდრებული მოქალაქეები განათლებაზეც ზრუნავდნენ და უნივერსიტეტებს აარსებდნენ.

622 წლიდან ახალი რელიგია — ისლამი გავრცელდა. მუსლიმანების ხელში მოექცა ხმელთაშუა ზღვის აუზის სამხრეთი ნაწილი, ესპანეთი და „წმინდა მიწა"- იერუსალიმი. ამიტომ 1095 წელს პაპმა ქრისტიან რაინდებს მუსლიმანების წინააღმდეგ „საღვთო ომისკენ" და იერუსალიმში ლაშქრობისკენ მოუწოდა, რათა იგი კვლავ ქრისტიანულ სამყაროს დაბრუნებოდა. ახლო აღმოსავლეთში მოწყობილმა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა შემზარავი ხოცვაჟლეტა გამოიწვია. იერუსალიმი მხოლოდ რამდენიმე წელი იყო ქრისტიანების ხელში. შემდგომი ლაშქრობები კრახით დამთავრდა.



*ჯვაროსნების ალყა დამასკოსთან (1148).*

პორტუგალიელთა მცდელობამ მოეძებნათ საზღვაო გზა ინდოეთისკენ და 1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენამ, ევროპაში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქას დაუდო სათავე. გამდიდრების წყურვილით შეპყრობილმა ესპანელებმა და პორტუგალიელებმა თითქმის მთელი შუა და სამხრეთ ამერიკა დაიპყრეს. „ახალი სამყაროდან" ევროპაში მანამდე უცნობი კულტურები — სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო, პომიდორი, ვანილი და კაკაო შემოვიდა, რასაც თან უამრავი ოქრო და ვერცხლი მოჰყვა. შემდგომ ასწლეულებში ოკეანის გაღმა სამფლობელოები ევროპის სხვა ქვეყნებმაც დაიპყრეს, გაძარცვეს ისინი და შექმნეს ე.წ. კოლონიები. დიდი ბრძოლებისა და მცდელობის შედეგად



*1492 წლის 12 ოქტომბერს კოლუმბი გუანაჰანში შევიდა.*

კოლონიებმა XIX-XXსს-ებში დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ამ პროცესს სათავე დაუდო აშშ-მ, რომელიც 1783 წელს ინგლისის ბატონობისგან გათავისუფლდა.

აღორძინების (რენესანსის) ეპოქაში ხელოვანებმა და სწავლულებმა ხელახლა აღორძინეს ანტიკური ხანის მიღწევები, რომლებიც შუა საუკუნეებში მივიწყებული იყო. ამას მოჰყვა ხელოვნებისა და მეცნიერების აყვავება. პოეტმა დანტემ, დიდმა მოქანდაკეებმა და მხატვრებმა მიქელანჯელომ, ლეონარდო და ვინჩიმ და რაფაელმა იტალიაში, ალბრეხტ დიურერმა გერმანიაში და სხვებმა უკვდავი ნაწარმოებები შექმნეს. განუზომელია აღორძინების ხანის როლი შუა საუკუნეებიდან ახალ ეპოქაში გადასული კულტურული მემკვიდრეობისთვის.

*აღორძინების ეპოქაში ადამიანის სხეულის შესწავლა დაიწყეს. სურათზე მოცემულია ადამიანის სხეულის ლეონარდო და ვინჩისეული (1452-1517) სქემა.*

რეფორმაციამ ევროპის სრული გახლეჩა გამოიწვია. მიზეზი XVIს-ის დასაწყისისთვის ეკლესიაში არსებული მძიმე მდგომარეობა იყო. პაპები და ეკლესიის სხვა მაღალი იერარქები ფუფუნებისა და ძალაუფლებისკენ ისწრაფოდნენ და სრულებით აღარ ადარდებდათ კანონების დაცვა, მორალი და სულისთვის ზრუნვა. გერმანელმა ბერმა მარტინ ლუთერმა და შვეიცარიელმა თეოლოგმა იოჰანეს კალვინმა, ასევე სხვა სასულიერო პირებმა, ეკლესიაში რეფორმების გატარება მოითხოვეს, მაგრამ ეკლესიის მამებმა „პროტესტანტები" მკაცრად დასაჯეს. მალე კათოლიკე და პროტესტანტ თავადებს შორის ომი გაჩაღდა, რასაც პროტესტანტების სისხლიანი დევნა მოჰყვა. კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებს შორის XVIIს-ში ძალაუფლებისთვის ბრძოლა ოცდაათწლიან ომში გადაიზარდა. 1618-1648 წლებში გერმანიის ტერიტორიაზე მრავალი ბრძოლა გაიმართა რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს მონაწილეობით. ომმა სიღარიბე, გაპარტახება და მოსახლეობის 1/3-ის მოსპობა გამოიწვია.



მარტინ ლუთერი (1483-1546)



*თავის სიმბოლოდ ლუი XIV-მ მზე აირჩია, ამიტომ მას მეფე-მზეს უწოდებდნენ.*

„სახელმწიფო თავად მე ვარ!" — ეს იყო საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის დევიზი. ეს გამონათქვამი ზუსტად გამოხატავს აბსოლუტიზმის არსს, რომელიც XVIIს-ის ევროპაში მმართველობის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. ეს იყო სახელმწიფო, სადაც მეფე უზენაესად ითვლებოდა, მას ევრავინ აკონტროლებდა, რადგან აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობდა. ხელმწიფე ღმერთის რჩეულად ითვლებოდა, ამიტომ მხოლოდ მის წინაშე აგებდა პასუხს. ლუი XIV-ის ძალაუფლება ეყრდნობოდა საფრანგეთის სამხედრო ძლიერებას, რამაც მას ევროპაში გაბატონებული მდგომარეობა მოაპოვებინა. ეს, რა თქმა უნდა, ქვეყანაში საშინელი სიღარიბისა და გაჭირვების ხარჯზე ხდებოდა. ლუი XIV-ის მმართველობის სტილს სხვა მეფეებიც ბაძავდნენ.

*შვედეთის მეფე გუსტავ ადოლფ II (1594-1632) 30-წლიან ომში პროტესტანტების მხარეზე იბრძოდა.*





ნაპოლეონ I ბონაპარტე (1769-1821)

XVIIIს-ში წარმოიშვა **განმანათლებლობა**, რომელიც ადამიანის სულს რელიგიური დოგმებისგან ათავისუფლებდა. სწავლულებმა ეჭვქვეშ დააყენეს ბიბლიური სწავლებანი, რადგან მათი დაკვირვებების მიხედვით, ისინი ბუნების კანონებს ეწინააღმდეგებოდა. მომავალში ცოდნის ამოსავალ წერტილად ადამიანის კრიტიკული აზროვნება უნდა გამხდარიყო. ამ ახალ მიმართულებას სამეცნიერო აკადემიების დაარსება მოჰყვა; საფუძველი ჩაეყარა ინდუსტრიის განვითარებას. შეირყა მეფეების ღვთისგან ხელდასხმულობის რწმენაც; ახალი მოთხოვნების შესაბამისად, სახელმწიფო ძალაუფლება მხოლოდ ხალხს უნდა დაყრდნობოდა და ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების საშუალებით ემართა ქვეყანა.

1787 წელს აბობოქრებულმა **საფრანგეთის რევოლუციამ**, რომლის დევიზიც იყო: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება", დაამხო მეფის ხელისუფლება და მოიწვია ეროვნული კრება, რომლის წევრებსაც ხალხი ირჩევდა. რევოლუცია გამოიწვია იმ საშინელმა გაჭირვებამ, რომელიც ხალხს აბსოლუტური მმართველისა და მისი კარისკაცების მძარცველურმა და ადამიანების მიმართ აგდებულმა პოლიტიკამ დაატეხა თავს. სწორედ ამ ადამიანებმა დასაჯეს სიკვდილით მეფე და მისი დიდგვაროვანი მსახურნი. ეროვნულმა კრებამ შეიმუშავა კონსტიტუცია და სახელმწიფო წყობა მთლიანად გარდაქმნა. რევოლუციის პერიოდში საშინელი დიქტატურა დამყარდა,



ბასტილიის აღება, პარიზი, 14 ივლისი, 1789.

მის სისხლიან ტერორს მრავალი შეეწირა. ევროპის დანარჩენმა მმართველებმა თავიანთი ძალაუფლების დაკარგვის შიშით, რევოლუციურ საფრანგეთთან ომი გააჩაღეს. ახალგაზრდა რესპუბლიკის არმიაში თავი გამოიჩინა კორსიკელმა ჯარისკაცმა ნაპოლეონ ბონაპარტემ. მრავალ ბრძოლაში გამარჯვებულ კორსიკელს „სამშობლოს მხსნელი" უწოდეს. იგი გამოიძახეს პარიზში, სადაც მან აბსოლუტური მმართველობა დაამყარა, შექმნა ახალი სახელმწიფო წესრიგი, სადაც ერთპიროვნული მმართველი თავად იყო, 1804 წელს იმპერატორადაც კი ეკურთხა. რამდენიმე წლის განმავლობაში ნაპოლეონმა უამრავი ლაშქრობა მოაწყო და თითქმის მთელი ევროპა დაიპყრო; მისი გამარჯვებები მანამ გრძელდებოდა, სანამ 1813 და 1814 წლებში ინგლისის, რუსეთისა და პრუსიის არმიებმა არ დაამარცხეს. გამარჯვებული ქვეყნების მთავრობებმა „ვენის კონგრესზე" ევროპა ხელახლა გადაანაწილეს, თუმცა საფრანგეთის რევოლუციურმა იდეებმა გავლენა იქონია მრავალი ქვეყნის განვითარებაზე.

1770 წელს ინგლისში ორთქლის მანქანა გამოიგონეს, რამაც დასაბამი მისცა **ინდუსტრიალიზაციას**, რომელიც მასობრივ, იაფ საქონელს აწარმოებდა. მალე მექანიკური საქსოვი მანქანა გამოიგონეს და რკინიგზაც გაიყვანეს. დიდი ბრიტანეთი ევროპის წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა.

XIXს-ის ძლიერ სახელმწიფოთა შორის გაბატონებული მდგომარეობისთვის (ევროპასა და მსოფლიოში) გაჩაღებულ ჭიდილს **პირველი მსოფლიო ომი** მოჰყვა. 1914 წელს ქვეყნებს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა და მსოფლიო ომი დაიწყო. ერთმანეთს დაუპირისპირდა ერთი მხრივ, გერმანიის იმპერია და ავსტრია-უნგრეთი (გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის სამხედრო კავშირი), ხოლო მეორე მხრივ, მოკავშირეები: საფრანგეთი, იტალია,



XIXს-ის ბოლოს ბავშვების მძიმე შრომა, მათ შორის სამთო წარმოებაში, ფართოდ გამოიყენებოდა.

დიდი ბრიტანეთი და რუსეთი. ეს იყო პირველი ომი, სადაც მასობრივი განადგურების საშუალებები, კერძოდ კი, ტანკები, მომწამვლელი აირები და წყალქვეშა ნავები გამოიყენეს. ამ ომმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საბოლოოდ აშშ მოკავშირეების მხარეზე დადგა, რამაც 1918 წელს ომის ბედი გადაწყვიტა. გამარჯვებულებმა ომის წამოწყებაზე მხოლოდ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს დააკისრეს პასუხისმგებლობა და უზარმაზარი ფულადი კომპენსაციის გადახდა. ევროპა ხელახლა გადანაწილდა, ოღონდ, ამჯერად მოკავშირეთა სასარგებლოდ. ამ



ომის შედეგად ევროპამ წამყვანის როლი დაკარგა. ახალ ზესახელმწიფოებად აშშ და სსრკ იქცნენ.

I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ევროპაში დიქტატურა და ფაშიზმი გავრცელდა. დემოკრატიულმა მმართველობამ ფეხი ვერ მოიკიდა. ადამიანების უმრავლესობა ქვეყნის მეთაურად „ძლიერ კაცს" ბელადს მოითხოვდა. მაგალითად, იტალიაში, ესპანეთსა და რუსეთში.



ვარშავის გეტოდან ებრაელების ტრანსპორტირება. საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს და გაანადგურეს 6 მლნ ადამიანი.

ამ ტენდენციამ განსაკუთრებით დამანგრეველად გერმანიაზე იმოქმედა, სადაც 1933 წელს ადოლფ ჰიტლერმა და მისმა ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ დიქტატურა დაამყარეს. გერმანია და ავსტრია გააერთიანეს და შეაიარაღეს. ნაციონალ-სოციალისტური მსოფლმხედველობა ქადაგებდა ებრაელთა, სლავების, ბოშებისა და მონღოლოიდების სიძულვილს. მათ ჩაგრავდნენ, ავიწროებდნენ, მოგვიანებით, საკონცენტრაციო ბანაკებში ამწყვდევდნენ, ბოლოს კი, ფიზიკურად ანადგურებდნენ ისეთ შემზარავ სიკვდილის ბანაკებში, როგორიც იყო აუშვიცი. 1939 წელს ჰიტლერმა გერმანია ჩაითრია ომში, რომელიც ელვის სისწრაფით II მსოფლიო ომში გადაიზარდა და 60 მლნ-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თავდაპირველად ჰიტლერის არმიამ რამდენიმე სწრაფი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მოგვიანებით, როცა საბჭოთა კავშირთან დაძარცხდა და ომში აშშ-ც ჩაება, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. 1945 წელს გერმანიამ კაპიტულაციას მოაწერა ხელი.



გერმანელი ჯარისკაცები გაზის კვამლში, 1915.

ინდუსტრიალიზაციის ნაკლოვანმა მხარეებმა, უპირველესად კი ფართო მასების სიღატაკემ და მუშათა ექსპლუატაციამ, კომუნიზმის იდეის განვითარება გამოიწვია. კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ისეთ საზოგადოებას მოითხოვდნენ, სადაც წარმოების საშუალებები ხალხის და არა ცალკეული ადამიანების საკუთრება იქნებოდა და ყველა ადამიანს სოციალურად გაათანასწორებდა. 1917 წელს ასეთი სისტემა შეიქმნა სსრკ-ში ლენინის მეთაურობით. II მსოფლიო ომის შემდეგ აღნიშნული სისტემა სხვა სახელმწიფოებმაც გადაიღეს, მაგრამ XXს-ის მიწურულს გამოვლინდა ნაკლოვანებები — ეკონომიკური სისუსტე და ადამიანების აუტანელი ჩაგვრა, ამიტომ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრმა სახელმწიფომ უარი თქვა ამ სისტემაზე.

II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპა 2 სახელისუფლებო ზონად დაიყო. აღმოსავლეთ ზონას სსრკ აკონტროლებდა, დასავლეთს კი აშშ. ამ ორ სახელმწიფოს შორის მწვავე კონფრონტაცია დაიწყო, თუმცა მსოფლიო ატომური ომის გაჩაღებისა და მისი ფატალური შედეგების შიშის გამო სამხედრო



დაპირისპირებაში არ გადაიზრდილა. ეს პერიოდი ცივი ომის სახელითაა ცნობილი. მრავალგზის იქმნებოდა ისეთი კონფლიქტური სიტუაციები, როცა დედამიწა ახალი მსოფლიო ომის რეალური საშიშროების წინაშე იდგა. ცივი ომი მხოლოდ 1988 წელს დასრულდა, როცა მ.გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირის საზღვრები გახსნა, რამაც კომუნისტური ბლოკის საბოლოოდ დაშლა გამოიწვია.



1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედელი აიღეს. მრავალი წლის მანძილზე ორად გახლეჩილი გერმანია გაერთიანდა.



# ევროკავშირი

**რას წარმოადგენს ევროკავშირი?**

ევროკავშირს (შემოკლებით ეკ) ყოველდღიურ ახალ ამბებში ხშირად ახსენებენ. მის შესახებ წერენ ურიცხვ საგაზეთო სტატიებს, კამათობენ მასზე, რადგან ჩვენი ეკონომიკისა და პოლიტიკისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ეკ არ ნიშნავს ევროპას, თუმცა მისი ხსენებისას სწორედ ასეთი შთაბეჭდილება გვექმნება. კავშირი გაერთიანებას ნიშნავს, ადრე ეკ-ს ეგ-საც (ევროგაერთიანებას) უწოდებდნენ. დღესდღეობით ევროკავშირში 25 ევროპული სახელმწიფო და 454 მლნ ადამიანია გაერთიანებული, რომლებმაც მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის პასუხისმგებლობა იტვირთეს.

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ახალ მოთხოვნებს აყენებს. მათში აღწერილია ერთად მუშაობის წესები, წევრი ქვეყნების უფლებანი, მოვალეობანი და ევროპის ინსტიტუტების ფუნქციონირების პრინციპები. ევროკავშირის დადგენილებები და ძირითადი მიმართულებები აწესრიგებს ცალკეული საკითხების უმცირეს დეტალებსაც კი.

2004 წლის 18 ივნისიდან 25 წევრი-ქვეყნის მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურებმა შეიმუშავეს ევროკავშირის საერთო კონსტიტუცია. იგი 400 სტატიისგან შედგება, მოიცავს ევროკავშირის მიერ მიღებულ ყველა შეთანხმებას და ისტორიაში პირველად განსაზღვრავს ევროკავშირის ყველა წევრი-სახელმწიფოსთვის საერთო ბაზისს. საბაზრო ეკონომიკის, კონკურენციისა და ფასების სტაბილურობის გარდა, მასში ლაპარაკია ყველაზე დაუცველ, ღარიბეს მოსახლეობაზე ზრუნვაზე, ბუნებასა და ეკოლოგიაზე სათანადო ყურადღების მიქცევაზე.

ეკ-ს ურთიერთთანამშრომლობას ხელშეკრულებები არეგულირებს.



კონსტიტუციას ლაიტმოტივად გასდევს დემოკრატიის, თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები.



რობერტ შუმანი (1886-1963)

**ევროპის დღე**

1950 წლის 9 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა გაერთიანებული ევროპის შექმნის და ამით ევროპაში მშვიდობის დამყარებისა და განმტკიცების იდეა. მისი წინადადება ეკ-ის ჩამოყალიბების ქვაკუთხედადაა მიჩნეული, ამიტომ 9 მაისი ევროპის დღედ იწოდება.

ეკ-ს თავისი ჰიმნი აქვს, მელოდიად აღებულია ოდა „სიხარულისა" ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიიდან.

**ევროპის დროშა**
ევროკავშირს სიმბოლურად აღნიშნავს დროშა, რომლის ცისფერ ფონზე დახატულია 12 ვარსკვლავისაგან შემდგარი წრე. დროშა ევროპის ხალხთა ერთობის, ხოლო რიცხვი 12 სრულყოფილებისა და ერთიანობის სიმბოლოა. ხელშეკრულება ეკ-ის 12 წევრს შორის 1992 წელს მაასტრიხტში დაიდო.

ევროკავშირის კონსტიტუცია ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც მას ხმა ყველა წევრი-სახელმწიფოს პარლამენტებმა და მოქალაქეებმა მისცეს. ეკ-ის თითოეულ წევრქვეყანას ჰყავს თავისი მთავრობა, პარლამენტი, აქვს მმართველობის ორგანოები, სასამართლოები და თავისი კანონები. ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებებს წევრი-სახელმწიფოების მთავრობები განსაზღვრავენ. ხმის მიცემის პროცედურები იძლევა იმის გარანტიას, რომ კენჭისყრისას ყველა წევრი თანაბარი უფლებებით სარგებლობდეს. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებების მიღებას ხშირად დიდი დრო სჭირდება.

ევროკავშირს სხვებისგან ის გამოარჩევს, რომ 25 წევრი-სახელმწიფოს ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლებრივი და მმართველობის სისტემები ათწლეულების, ხშირად ასწლეულების მანძილზე ნელ-ნელა დაუახლოვდა და მოერგო ერთმანეთს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეულ წევრ-სახელმწიფოს თავისი მოქმედი პარლამენტი, მთავრობა, მმართველობის ორგანოები და კანონები აქვს, ნათელი ხდება, რატომაა ევროკავშირის საერთო კონსტიტუციაზე გადასვლა ასეთი რთული პროცესი. იგი ძირეულად განსხვავდება, მაგალითად, ამერიკის კონსტიტუციის ისტორიისგან. აშშ-ში კონსტიტუციასთან ერთად ჯერ სახელმწიფო შეიქმნა, შემდეგ კი საერთო წესები და მოქალაქეთა თანაცხოვრებისთვის აუცილებელი კანონები მიიღეს. ევროკავშირში კი პირიქითაა: იმისათვის, რომ საერთო შიდა ევროპული

## როგორ შეიქმნა ეკ?

**1951**
პარიზში ხელი მოაწერეს ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებას.



*„რომის ხელშეკრულებების" ხელმოწერა. 25.3.1957*

**1957/1958**
რომში დაიდო ხელშეკრულებები ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (ეეგ) და ევროპის ატომური გაერთიანების შესახებ. ზემოთ აღნიშნულ ხელშეკრულებასთან ერთად „რომის ხელშეკრულებებმა" საფუძველი ჩაუყარა ევროგაერთიანებას (ეგ), რომელიც 1967 წელს შეიქმნა.

**1968**
განხორციელდა საბაჟო კავშირი ანუ ეგ-ის 6 ქვეყანას შორის საბაჟო გადასახადები გაუქმდა.

**1973-1986**
ეგ გაფართოვდა: ჯერ დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის გაერთიანებული სამეფო გაწევრიანდნენ, 1981 წელს შეუერთდა საბერძნეთი, 1986 წელს კი ესპანეთი და პორტუგალია.

**1986**
ეგ-ის 12 წევრი-ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაადგინეს, რომ ხელი მოეწერათ 1992 წლის ბოლოს ევროპის შიდა ბაზრის შექმნის შეთანხმებაზე.

**1992**
მაასტრიხტში დაიდო სავალუტო კავშირის განხორციელების ხელშეკრულება. იმავდროულად გაფართოვდა ეგ-ის მიზნები და ამოცანები ერთობლივი საგარეო და უშიშროების, საშინაო და იურიდიული პოლიტიკის სფეროში.

**1993**
დასრულდა ევროპის შიდა ბაზრის ფორმირება. საქონელი, მომსახურება და კაპიტალი თავისუფლად გადის ერთი ქვეყნიდან მეორეში. ძალაში შევიდა ახალი საერთო პოლიტიკის გატარების შესახებ 1992 წელს მიღწეული შეთანხმებები.
ეგ ეკ-დ გადაიქცა.

**1995**
გაწევრიანდა ფინეთი, ავსტრია და შვედეთი. ძალაში შევიდა შენგენის შეთანხმება:
ეკ-ის 7 (მოგვიანებით 10) ქვეყანაში საპასპორტო კონტროლი გაუქმდა.

**1999/2002**
1 იანვრიდან ძალაში შევიდა 1992 წელს შეთანხმებული სავალუტო კავშირი 11 (ხოლო 2001 წლიდან 12) ქვეყნისთვის. 2002 წლის 1 იანვრიდან საერთო ევროპულ ვალუტად ევრო შემოიღეს.

**2004**
ეკ გაფართოვდა, მას 10 ახალი წევრი შეემატა და მიიღეს საერთო ევროპული კონსტიტუცია.



ბაზარი შექმნილიყო, საჭირო გახდა უამრავი კანონის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა. მოგვიანებით, საერთო ევროპული ვალუტა — ევრო შემოიღეს და ახლა წევრქვეყანათა პოლიტიკის სრული ჰარმონიზაცია უკვე საერთო ევროპულმა კონსტიტუციამ უნდა დააგვირგვინოს. მომავალში დაგეგმილია პოლიციისა და სასამართლოების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა. შეთანხმებაა საჭირო საგარეო და უშიშროების საკითხებშიც. მაგალითად, ერთობლივად უნდა გადაწყდეს, რა სახის მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირი საომარი ქმედებებისას. ასეთ საკითხებზე საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებებს აწარმოებს ევროკავშირის უშიშროებისა და საგარეო საქმეთა მინისტრი.

ევროკავშირის ორგანიზაცია და მისი ინსტიტუტები დაარსებიდან დღემდე იცვლებოდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა რთული სტრუქტურა; მის დანიშნულებასა და განხორციელების გზებზე მუდმივად მუშაობენ. თუკი თვალს გადავავლებთ ევროგაერთიანების წარმოშობის ისტორიას, უკეთ ჩავწვდებით მისი მიზნებისა და იდეების არსს.

**რატომ არსებობს ევროკავშირი?**

1945 წელს ევროპა ნანგრევებად იყო ქცეული. II მსოფლიო ომმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. „ომი აღარ უნდა განმეორდეს!" — ფიცს დებდნენ ადამიანები. გაერთიანების პიონერები გერმანია და საფრანგეთი იყვნენ. მათ ქვანახშირისა და ფოლადის წარმოება ერთობლივ დაქვემდებარებაში მოაქციეს. ეს ორი დარგი სამთო მრეწველობას ეკუთვნის და ომის საწარმოებლად უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება. მათი საერთო ევროპული განკარგვა მშვიდობის მყარ გარანტიას იძლეოდა, თანაც ერთ დროს დაპირისპირებულ ორ ქვეყანას ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებდა. ამ წინადადებას მეზობელი ქვეყნებიც — იტალია, ჰოლანდია, ბელგია და ლუქსემბურგი გამოეხმაურნენ და თავადაც შეუერთდნენ. 1951 წლის აპრილში მათ საზეიმოდ მოაწერეს ხელი „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების" ხელშეკრულებას, რომელსაც „სამთო გაერთიანებასაც" უწოდებდნენ. გაერთიანებაში ზემოთ აღნიშნული 6 ქვეყანა შედიოდა.

1957 წელს შეთანხმდნენ სოფლის მეურნეობის სფეროში ერთობლივი პოლიტიკის გატარების შესახებ, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფას შეუწყობდა ხელს. ასე ჩაეყარა საფუძველი „ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას" (ეეგ).

სანამ ევროპის კავშირი დღევანდელ სახეს მიიღებდა, უამრავი ნაბიჯი გადაიდგა. ხელშეკრულებებმა სულ უფრო მეტი დარგები მოიცვა. ევროკავშირმა საერთო ევროპული კონსტიტუციაც კი შეიმუშავა, რომელიც 2004 წელს წევრსახელმწიფოთა მეთაურებმა მიიღეს. რა თქმა უნდა, წევრი-სახელმწიფოები ინარჩუნებენ თავიანთ ხანგრძლივ ისტორიას, მშობლიურ ენას, კულტურასა და თვითმყოფადობას.



*II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ბევრი ქალაქი დანგრეული იყო.*

### ურთიერთთანამშრომლობა

ეკ აქტიურად მუშაობს შემდეგ სფეროებსა და პროექტებზე:

1. სოფლის მეურნეობა
2. მომხმარებელთა დაცვა
3. კონკურენციის შესახებ კანონები (მაგ., ბიზნესმენთა შორის ფასების წინასწარ შეთანხმების აკრძალვა)
4. რეგიონული და სტრუქტურული პოლიტიკა (ჩამორჩენილი რეგიონებისა და კერძო ინიციატივების მხარდაჭერა)
5. სოციალური პოლიტიკა (მაგ., შრომის დაცვის ერთობლივი წესდებები)
6. განათლების პოლიტიკა



*განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა პროფესიული განათლების ურთიერთაღიარება.*

7. გარემოს დაცვის პოლიტიკა (გარემოს დაცვის ერთობლივი პროექტები)
8. კვლევითი პოლიტიკა
9. საშინაო პოლიტიკა და სამართალი (მაგ., დანაშაულებათა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა)
10. საბაჟო და ვაჭრობის პოლიტიკა (მაგ., შეთანხმებები აშშ-ს, იაპონიასა ან ჩინეთთან)
11. საგარეო პოლიტიკა (პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა, მაგ., სამხრეთ ევროპაში ან ხმელთაშუა ზღვის აუზში)
12. ეკონომიკური დახმარება განვითარებადი ქვეყნებისათვის




### ქვეყნები, რომლებიც თავს იკავებენ წევრობაზე

1992 წელს შვეიცარიამ ეკ-ში შესვლაზე განაცხადი შეიტანა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსახლეობის უმრავლესობამ საერთო სახალხო რეფერენდუმით წევრობაზე უარი თქვა, ეს განაცხადი გაბათილდა. ეკ-ის წევრები არ არიან ლიხტენშტაინი, ნორვეგია და ისლანდია. ოთხივე ქვეყანა დაკავშირებულია ეკ-თან ეკონომიკის სფეროში დადებული რამდენიმე ხელშეკრულებით, მაგრამ უფრო მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობისგან თავს იკავებენ.

**რომელი ქვეყნები შედის ევროკავშირში?**

ევროკავშირში ყველა ევროპული სახელმწიფო როდია გაერთიანებული. დღეისთვის მასში 25 წევრი-სახელმწიფოა. გაწევრიანების შესახებ განაცხადი შეტანილი აქვს 4 ქვეყანას — რუმინეთს, ბულგარეთს, ხორვატიასა და თურქეთს.

ეკ ღიაა ახალი წევრებისთვის, თუმცა თითოეული კანდიდატი გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს; უნდა წარმოადგენდეს ევროპულ სახელმწიფოს, სადაც სამართლებრივი მმართველობაა დამყარებული. რაც ნიშნავს შემდეგს: კანონებს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი უნდა იღებდეს და ახორციელებდეს დამოუკიდებელი სასამართლო. ერთი შეხედვით, ეს წინაპირობა თავისთავად უნდა არსებობდეს, მაგრამ ასე როდია. საბერძნეთსა და ესპანეთში 1975 წლამდე დიქტატურა ბატონობდა, ხელისუფლების სათავეში იდგნენ გენერლები, რომლებიც თვითნებურად იღებდნენ კანონებს და განსხვავებულად მოაზროვნეებს დევნიდნენ. ისინი ეკ-ში მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც ამ სახელმწიფოებში ხალხის მიერ არჩეული მთაერობები შეიქმნა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები ამოქმედდა. ყველა წევრი-სახე-



*გერმანიისა და პოლანდიის საბაჟო მოხელეები სიმბოლურად ხერხავენ შლაგბაუმს. 1995 წლის შენგენის ხელშეკრულების შედეგად გაუქმდა სასაზღვრო კონტროლი.*

ლმწიფო ვალდებულია შეასრულოს ეკ-ის ხელშეკრულებები. მათ უნდა დაიცვან ეკ-ის მიერ გასული ათწლეულების განმავლობაში მიღებული ყველა კანონი და აამოქმედონ თავიანთ ქვეყნებში. სწორედ ამიტომ რომელიმე ახალი ქვეყნის გაწევრიანებას ხშირად საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდება. იმ ათმა ახალმა სახელმწიფომ, რომლებიც ეკ-ში 2004 წელს გაწევრიანდნენ, უამრავი რამ გააკეთეს აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ერთ დროს კომუნისტური სისტემები დემოკრატიულ სისტემებად გარდაიქმნენ და ცდილობენ თავიანთი კანონები ევროპის შიდა ბაზრის წესებს მოარგონ. ბულგარეთი და რუმინეთი, სავარაუდოდ, 2007 წელს გახდებიან ეკ-ს წევრები, თუკი საამისოდ საჭირო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებს შეასრულებენ.

**არსებობს თუ არა ეკ-ში სახელმწიფო საზღვრები?**

ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის საპასპორტო კონტროლი არ არსებობს ანუ ადამიანები თავისუფლად გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში. გარდა ამისა, უფლება აქვთ იმუშაონ ეკ-ის ნებისმიერ სახელმწიფოში, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მდებარეობისდა მიუხედავად. საქონელბრუნვაც თავისუფალია. 1968 წლიდან ეკ-მა წევრ-სახელმწიფოთა შორის საბაჟო გადასახადები გააუქმა. ასევე თავისუფალია კაპიტალბრუნვაც. ეკ-ის ერთი ნებისმიერი სახელმწიფოდან მეორეში შეიძლება ნებისმიერი რაოდენობის კაპიტალის გადარიცხვა ნებისმიერი სიხშირით.

4 ძირითადი თავისუფლება — პიროვნების, მომსახურების, საქონლისა და კაპიტალბრუნვის — ქმნის საერთო სამრეწველო სივრცეს, რასაც „შიდა" ანუ ევროპის საზღვრებში მოქცეული „ევროპის შიდა ბაზარი" ეწოდება. ამ ბაზარში არ შედის ეკ-ის არაწევრი სახელმწიფოები.

**რატომ არსებობს ეკ-ში დაწესებული ნორმები თვით ვაშლის სიდიდეზეც?**

ევროპის შიდა ბაზარი საბოლოოდ ჩამოყალიბდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა წევრ-ქვეყანაში შესაბამისი კანონები და ნორმები მიიღეს. კამათი გამოიწვია იმან, რომ თვით ვაშლის ზომებიც კი გარკვეული კლასიფიკაციით უნდა განესაზღვრათ. კრიტიკოსები ეკ-ს გადაჭარბებაში ადანაშაულებდნენ, ამბობდნენ, თითქოს მას ყველაფრის გაზომვის, აწონვის, ნორმირებისა და რეგლამენტირების მანია შეეყარა; თუმცა, რაც ერთი შეხედვით გადაჭარბებულად შეიძლება მოგვეჩვენოს, სინამდვილეში სრულიად ბუნებრივია: ნორმები და სტანდარტები ხომ ნებისმიერი პროდუქციის ძირითადი მაჩვენებელია. მათი ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება შევადაროთ ერთიანი სალიტერატურო ენის






**ბაჟი**

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში საბაჟო გადასახადი წარმოადგენდა მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობით შემოსავლის მიღებისა და ამ შემოსავლით სახელმწიფო ხაზინის შევსების კარგ საშუალებას. თუმცა იგი ერთგვარ ბარიერსაც ქმნიდა, რათა უცხოეთიდან შემოსულ იაფ საქონელს შიდა ბაზარი არ წაელეკა და ქვეყნის ინდუსტრიისთვის სიძნელეები არ შეექმნა. მაგრამ, დროთა განმავლობაში ყველა ქვეყანამ აღიარა, რომ ვაჭრობასა და საქონლის გაცვლა-გამოცვლას სარგებელი მოაქვს. ამიტომ მსოფლიო მასშტაბით დაიწია საბაჟო გადასახადებმაც, რომლებიც ეკ-ის შიგნით საერთოდ გააუქმეს, რათა წევრ-ქვეყანათა შორის ვაჭრობისათვის ხელი შეეწყოთ.

ჩამოყალიბების პროცესს. პროდუქტის ხარისხსა და მის სხვა მაჩვენებლებზე გასაგები და ზუსტი ინფორმაციის მიღება შეიძლება ნორმებითა და სტანდარტებით, რომლებსაც ექვემდებარება ნებისმიერი საქონელი, მათ შორის ხილიც, რაც ეხმარება გერმანელ მოვაჭრეს, განსაზღვროს, რომელი კატეგორიის საქონელს იძენს და შესაბამისად, რა არის მისი საბაზრო ღირებულება, თანაც, სულ ერთია, საიდაურია ეს ხილი, მაგალითად, ყურძენი — საბერძნეთიდან, იტალიიდან თუ ავსტრიიდან. ამასობაში ეკ-მაც აღიარა, რომ ყველა წერილმანის დადგენის პროცესი დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს, ამიტომ შეთანხმდნენ იმ მინიმალურ მოთხოვნებზე, რომელსაც მოცემული პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს. ამასთან თითოეული მათგანი ინარჩუნებს თავისი ქვეყნისთვის ტიპურ მახასიათებლებს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სტანდარტებისა და ტესტირების ერთობლივი ნორმების აღიარება. არა აქვს მნიშვნელობა, სად დამზადდა ავტომობილი, იტალიაში, შვედეთსა თუ გერმანიაში, იგი ერთნაირად უსაფრთხო უნდა იყოს. მაშუქებისა და მუხრუჭების, უსაფრთხოების ქამრების სტანდარტების გარდა, უნდა მიეთითოს გარემოს დაცვის სამსახურის მონაცემებიც, მაგალითად, გამონაბოლქვში მავნე გაზების ზღვრული დასაშვები ნორმის შესახებ. თუმცა ნორმებს ევროპის ყველა კუთხეში როდი იცავენ. ამას განსაკუთრებით ტურისტები ამჩნევენ. განსხვავება უამრავია, მაგალითად, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს, მალტასა და კვიპროსში მოძრაობა მარცხენა მხარესაა. ავტოინდუსტრიისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში მოძრავ ავტომობილებს მძღოლის სკამი და საჭე მარჯვენა მხარეს უნდა ჰქონდეს.

**თავისუფლად გადაადგილების უფლება**

თავისუფლად გადაადგილების უფლება მხოლოდ 10 ახალ წევრს ეზღუდება, იმის გამო, რომ ამ სახელმწიფოებში შემოსავლის დონე ეკ-ის 15 „ძველ" წევრთან შედარებით ბევრად დაბალია. მათი ეკ-ში გაწევრიანებისას შიშობდნენ, რომ დასავლეთის შედარებით მდიდარ ქვეყნებში აღმოსავლეთიდან დიდი რაოდენობით მუშახელი წავიდოდა, რაც სოციალურ პრობლემებს გამოიწვევდა არა მარტო ამ ადამიანების სამშობლოში, არამედ იმ ქვეყნებშიც, რომლებსაც ისინი მიაშურებდნენ. ამიტომ შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული ქვეყნებისთვის თავისუფლად გადაადგილების უფლება 2011 წლამდე შეიზღუდებოდა.

*ევროპის შიდა ბაზარზე შესაძლებელია თავისუფლად გადაადგილება, საქონლის, ფულისა და მომსახურების გაცვლა-გამოცვლა საზღვრებს გარეშე.*



საერთო ევროპული ნორმები და უსაფრთხოების სტანდარტები მწარმოებელს თავისი პროდუქციის შემოწმებისა და შემდეგ მთელ ევროპაში გასაღების საშუალებას აძლევს. ამიტომ საქონელს დიდი რაოდენობით აწარმოებენ და პროდუქცია გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე მაშინ ეღირებოდა, თუკი ყოველ ქვეყანას თავისი განსხვავებული ნორმები ექნებოდა და შესაბამისად, მისი შეძენაც თავისებურ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. მხოლოდ ეკ-ის ქვეყნების გაერთიანების წყალობით ახერხებენ ევროპელი ბიზნესმენები პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით აწარმოონ, რასაც აშშ-ს ფირმები შიდა ბაზრის 270 მლნ მომხმარებლის წყალობით, უკვე დიდი ხანია ახერხებენ.

**შეუძლია თუ არა ყველა მომხმარებელს ეკ-ის უპირატესობებით ისარგებლოს?**

ევროპის შიდა ბაზარი გაცილებით დიდია, ვიდრე აშშ-სი, იგი დაახლოებით 454 მლნ ადამიანს ემსახურება, ეს კი მომხმარებლისთვისაც ხელსაყრელია: მას გაცილებით ფართო არჩევანი აქვს და თანაც გარანტირებულია, რომ პროდუქცია შემოწმებულია.

**არის თუ არა ეკ-ში ჯანსაღი კონკურენცია?**

მომხმარებლის ფართო არჩევანი გარანტირებულია კონკურენციის შესახებ კანონით. იგი უზრუნველყოფს, რომ რომელიმე დარგმა ან ფირმამ დაუმსახურებელი პრივილეგიები არ მოიპოვოს. კონკურენციის შესახებ კანონი კრძალავს მწარმოებლებს შორის ფასების შეთანხმებას ანუ კომპანიებს უფლება არა აქვთ, წინასწარ შეათანხმონ, რა ფასებში შესთავაზებენ მომხმარებელს ამა თუ იმ პროდუქციასა და მომსახურებას. ფირმას ასევე არა აქვს უფლება, ბოროტად გამოიყენოს ბაზარზე თავისი უპირატესი მდგომარეობა. ცალკეული ფირმების გაერთიანება (ე.წ. შერწყმა) მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ ევროპელ მომხმარებელს კვლავ რჩება არჩევანის საშუალება რამდენიმე მიმწოდებელს შორის და არ იქმნება ერთადერთი, მონოპოლისტი მიმწოდებელი, რომელიც ფასებს თავის ნებაზე აწევ-დაწევს.

ბრიუსელში განლაგებული ევროკომისია აკონტროლებს სახელმწიფო დახმარებებს (სუბსიდიებს), რათა ცალკეულმა სახელმწიფოებ-



*2002 წლიდან ეკ-მა ყველგანმავალ მანქანებზე მხვავსი დამცველი ფარის დაყენება აკრძალა, რადგან უბედური შემთხვევებისას მძიმედ დაშავდა მრავალი ბავშვი.*



**ნიშანი CE**

ესაა ევროსერთიფიკატის ნიშანი, რომელიც მოცემულია ამა თუ იმ პროდუქციაზე, მაგ., ბავშვის სათამაშოებზე ან საოჯახო საქონელზე. ამ ნიშნიანი პროდუქტი ევროპული უსაფრთხოების ნორმებს შეესაბამება.

*ტურისტებსა და სატვირთო მანქანების მძღოლებს საბაჟო კონტროლის გავლისას ადრე საზღვრებთან გაჭიმულ უზარმაზარ რიგებში უწევდათ დგომა.*






*ამჟამად საბაჟო შემოწმება მხოლოდ ეკ-ის გარეთა საზღვრებთან ხდება, ხოლო ეკ-ის შიგნით გადაადგილების მსურველებს მარტო პასპორტი ან პირადობის მოწმობა სჭირდებათ.*



## ეკ-ის მოსწავლეები და სტუდენტები





*ეკ ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლას, სწავლებისა და სიის დაუფლების თავისუფლებებს.*

იმისათვის, რომ ეკ-ის ახალგაზრდობამ უკეთესი განათლება მიიღოს, არსებობს მთელი რიგი პროგრამები სკოლის მოსწავლეთა, სტუდენტებისა და პროფესასწავლებლების მსმენელთათვის. „ლეონარდო და ვინჩის" პროგრამა სტუდენტების, პრაქტიკანტებისა და პროფესასწავლებლების მსმენელთა გაცვლის შესაძლებლობას იძლევა, ამით ისინი ეკ-ს საზღვრებს გარეთ საწარმოო პრაქტიკას გადიან. პროგრამა „სოკრატე" სამი ნაწილისაგან შედგება: „კომენიუსი" ხელს უწყობს სკოლებს შორის ურთიერთობებს, „ერაზმუსი" სტიპენდიებს უნიშნავს სტუდენტებს, რომლებიც ეკ-ის რომელიმე ქვეყანაში სწავლას მოისურვებენ, ხოლო „ლინგვა" მიზნობრივი გაცვლითი პროგრამებით ენის ცოდნის გაღრმავებას ემსახურება. ამ პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ინტერნეტით: europa.eu.int/comm/edukation/progr. html.

მა თავიანთ კომპანიებს, ფულადი თუ სხვა სახის დახმარებით, დაუმსახურებელი უპირატესობები არ შეუქმნან.

თუ რომელიმე ფირმა დახმარებას დაუმსახურებლად მიიღებს, იგი ვალდებულია, დიდი ჯარიმა გადაიხადოს, რაც მოცემული ბიზნესისთვის ხშირად მძიმე დარტყმაა. მას ხომ იმიტომ დაეხმარნენ, რომ გარკვეული სიძნელეები ჰქონდა. ხშირად რეგიონები ხელს უწყობენ თავიანთ ფირმებს, რათა სამუშაო ადგილები შეინარჩუნონ. ეს განზრახვა მოცემული რეგიონის ან საწარმოს პოზიციიდან სრულიად გასაგებია, მაგრამ საერთო შიდა ბაზრის პოზიციიდან სუბსიდიებისთვის შეჯიბრობითობის პრინციპი პატიოსნად უნდა იქნეს დაცული.

სუბვესტიციები ფირმას მხოლოდ მცირე ხნით ეხმარება, ბაზარზე წარმატებული მდგომარეობის მისაღწევად ფირმებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი კლიენტების ინტერესები და შექმნან ახალი პროდუქცია, განავითარონ საწარმოო პროცესები, რათა კონკურენციას გაუძლონ.

მწვავე კონკურენცია განსაკუთრებით აზარალებს იმ ფირმებსა და დარგებს, რომლებსაც საერთაშორისო კონკურენციასთან აქამდე შეხება არ ჰქონიათ. ხელსაყრელი ფასები და დიდი არჩევანი, რაც მომხმარებლისთვის ნამდვილად მისაღებია, ბევრი ფირმისთვის შეკვეთების დაკარგვას ნიშნავს. საჭირო ხდება ეკონომია და თანამშრომელთა დათხოვნაც კი. თუმცა ეკ-ის ეკონომიკის შემდგომი განვითარება თავისთავად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობს.

**შეიძლება თუ არა ეკ-ის ნებისმიერ ქვეყანაში ცხოვრება და მუშაობა?**

ეკ-ის წევრი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ევროპაში თავისუფლად გადაადგილება. ეკ-ის შიდა საზღვრებზე კონტროლი დიდი ხანია აღარ არსებობს. ევროპის ტერიტორიაზე მოგზაურობისას სრულიად საკმარისია პირადობის მოწმობა ან პასპორტი. ეკ-ის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მისთვის სასურველ ქვეყანაში იცხოვროს, თუმცა მეზობელ ქვეყანაში სამუშაოს ძებნისას გარკვეული შეზღუდვები ჯერ კიდევ არსებობს: საჯარო სამსახურის გარკვეულ სფეროებში (დიპლომატიური სამსახური, პოლიცია, იუსტიცია, არმია და ა.შ.) მოცემული ქვეყნის მოქალაქე უნდა მუშაობდეს. ეკ-ის 10 ახალი წევრი-ქვეყნის მოქალაქეებს მხოლოდ 2011 წლიდან ეძლევათ ეკ-ის ნებისმიერ ქვეყანაში დასაქმების უფლება.

მოქალაქეების მსგავსად, ეკ-ის ტერიტორიაზე თავისუფლად მოქმედების უფლება აქვთ კომპანიებსაც, რომლებსაც სასაზღვრო კონტროლისა და ბაჟის გაუქმება შესაძლებლობას აძლევს, არა მარტო ევროპის ნებისმიერ ქვეყანას მიაწოდონ თავიანთი საქონელი, არამედ გახსნან ამ ქვეყნებში პროდუქციის საწყობები და გასაღების ფილიალები.



*ევროპის საპატენტო სამსახური მიუნხენში*

**პატენტი**

ევროპის ბაზარი მიმზიდველად გამოიყურება ტექნიკური ინოვაციებისთვისაც. მიუნხენში მდებარეობს ევროპის საპატენტო ბიურო, სადაც შესაძლებელია თქვენს გამოგონებაზე ევროპის ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში პატენტი მიიღოთ. ამით გამომგონებელი დაცულია არაკანონიერი მიმბაძველებისგან.

# რა შეიცვალა ევროს შემოღებით?

**რას ნიშნავს „ევროქვეყანა"?**

ცნება „ვალუტა" ნიშნავს მოცემული ქვეყნის ფულის და მისი ფულადი მიმოქცევის სისტემას. „ევროქვეყანა" ჯერჯერობით 12 სახელმწიფოსგან შედგება: ბელგია, გერმანია, ფინეთი, საფრანგეთი. საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია ავსტრია. პორტუგალია და ესპანეთი. 2002 წლის იანვრიდან ამ ქვეყნებში გადახდის საშუალებად ევრო შემოიღეს. ამდენად, მოგზაურობისას ფულის გაცვლა საჭირო აღარ არის. გადახდა ყველგან ევროს ბანკნოტებითა და მონეტებით წარმოებს. „ევროქვეყანა" ეს არის სავალუტო კავშირი.

**რისთვის სჭირდება ეკ-ს საერთო ვალუტა?**

ადრე ევროპის ყველა ქვეყანას თავისი ვალუტა ჰქონდა: გერმანიას — გერმანული მარკა, ავსტრიას — შილინგი, იტალიას — ლირა, ესპანეთს — პესეტა, საფრანგეთს — ფრანკი და ა. შ. ევროპაში მოგზაურობისას ყოველ ქვეყანაში სხვადასხვა ვალუტა იყო საჭირო. ამიტომ უამრავი მონეტა და ბანკნოტი ტრიალებდა. ეს კი ევროპის ქვეყნებს შორის საქმიანი ურთიერთობის დროს პრობლემებს ქმნიდა. ყოველთვის როდი ხერხდებოდა ნაღდი ფულით გადახდა, ფული ბანკების მეშვეობით უნდა გადაერიცხათ, რაც საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო. ვალუტის ცვალებადი კურსი გაცვლის დროს მოულოდნელ მოგებას ან დანაკარგებს იწვევდა. 1994 წელს იტალიაში ტურისტ გერმანელს ერთ გერმანულ მარკაში 1005 ლირას აძლევდნენ, ერთი წლის შემდეგ კი — 1133-ს. ეს მათთვის ცუდი არ იყო, მაგრამ არ არსებობდა იმის გარანტია, რომ კურსი ზრდის მაგივრად არ დაიკლებდა. 1996 წელს იგი 100 ლირამდე დაეცა. იმ მოვაჭრეებისთვის, რომლებიც გაყინულ პიცას გასაყიდად დიდი სატვირთო მანქანებით დაატარებდნენ, ეს საკმაოდ დიდი დარტყმა იყო. ისინი უკვე ზუსტად ველარ ანგარიშობდნენ, რა ფასს შესთავაზებდა პარტნიორი, რადგან ლირის გაცვლითი კურსი გამუდმებით მერყეობდა, ხოლო, როცა საქმე დიდ თანხას ეხებოდა, ვაჭრობაზე ვალუტის მცირედი ცვლილებაც კი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ვალუტის გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი საკმაოდ ართულებდა ევროპელ პარტნიორთა საქმიან ურთიერთობებს.



*1923 წელს ძლიერმა ინფლაციამ ფული ისე გააუფასურა, რომ კუპიურების შეკვრებით ბავშვები თამაშობდნენ. მაშინ ამბობდნენ: „ინფლაცია ფულს ხანსლავსო"*

ახალ წევრებს ეკ-ში მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ, თუ მათი ეროვნული ვალუტა და მრეწველობა შესაბამის წინაპირობებს აკმაყოფილებს: სახელმწიფოს დიდი ვალები არ უნდა ჰქონდეს, ხოლო ვალუტა სტაბილური უნდა იყოს. იღებენ მხოლოდ ისეთ ქვეყნებს, რომელთა ეკონომიკაც მზადაა სავალუტო კავშირში გასაწევრიანებლად. ამრიგად, „ევროქვეყნის" წევრებს საერთო სტაბილური ვალუტა აქვთ.



**ევროს მსურველები**
ეკ-ის 10 ახალ წევრს სურს თავიანთი ვალუტები მჭიდროდ დაუკავშირონ ევროს. რაც შეეხება ამ ქვეყნებში ევროს შემოღებას, საამისოდ აუცილებელია მინიმუმ 2 წლის განმავლობაში ევროპული გაცვლითი კურსის მექანიზმში უპრობლემო ჩართვა და სტაბილურობის ყველა კრიტერიუმის დაკმაყოფილება.
ესტონეთმა, ლიტვამ და სლოვენიამ ეკ-ში შესვლისას პასუხისმგებლობა აიღეს, რომ მათი ვალუტების ცვალებადობა ევროსთან მიმართებაში მხოლოდ +/–15%-ის ფარგლებში მოექცეოდა. ისინი ევრო-კრიტერიუმების შესრულების გზაზე დგანან და, სავარაუდოა, რომ უკვე 2006 წლიდან ევროს მიმოქცევის ზონაში მოექცევიან.

**სტაბილურობის პაქტი**
იმისათვის, რომ სავალუტო კავშირში გაერთიანების შემდეგაც ევროპის ქვეყნებში სტაბილურობაზე ორიენტირებული ფულად-ეკონომიკური პოლიტიკა გატარდეს, შეიმუშავეს სტაბილურობის პაქტი, რომელიც ითვალისწინებს გაფრთხილებებსა (ე.წ. „ცისფერ ბარათებს") და ჯარიმებს იმ წევრ-სახელმწიფოთათვის, რომლებიც სტაბილურობის კრიტერიუმებს დაარღვევენ. ამ კრიტერიუმების დაცვა ერთობ ძნელია და სერიოზულ მიდგომას საჭიროებს.

## რატომ სჭირდება ვალუტას გაფრთხილება?

გერმანიის ბუნდესბანკი გერმანული ვალუტის ფხიზელი დამცველი გამოდგა. მან გაუძლო I მსოფლიო ომის შემდგომ დიდ ინფლაციას (როცა ქაღალდის ფულის გაუფასურება ხდება — მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა საქონელბრუნვის მოთხოვნებს აღემატება): მაშინ უამრავ ფულს ბეჭდავდნენ, თუმცა მისი რაოდენობის ზრდასთან ერთად ინფლაციაც იზრდებოდა — ერთი პური 1 მლნ რაიხსმარკაზე ძვირი ღირდა. ამ კრიზისმა გერმანელებს ნათლად დაანახა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების სტაბილური დონის შენარჩუნებას. მკაცრი ფულადი პოლიტიკის გატარების შედეგად ბუნდესბანკმა მოახერხა, რომ 1948 წლიდან გერმანული მარკა სტაბილური, მყარი ვალუტა გამხდარიყო. ბუნებრივია, ამ წარმატებამ დიდი გავლენა მოახდინა მეზობელ ევროპულ სახელმწიფოებზეც, რომლებიც ფულადი საბანკო პოლიტიკის გატარების დროს გერმანიის მაგალითით ხელმძღვანელობდნენ, რაც საბოლოოდ იმით დაგვირგვინდა, რომ 1992 წელს მაასტრიხტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს ევროკავშირის ერთობლივი სავალუტო პოლიტიკის შესახებ. ამიერიდან საერთო ვალუტის — „ევროს" ინტერესების დამცველი გახდა ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც გერმანიის ბუნდესბანკის გამოცდილებით მოქმედებს: იგი დამოკიდებული არაა მთავრობების მითითებებზე. ზრუნავს მხოლოდ ფულის საკმარისი რაოდენობით მომარაგებასა და მის სტაბილურობაზე.

## როდის შეიქმნა ევრო?

ევროს ისტორია 2002 წლის 1 იანვრამდე ბევრად ადრე დაიწყო. მის შემოღებას ზოგი საზღვრების გახსნას უკავშირებს, რადგან მას შემდეგ, რაც ადამიანებმა თავისუფალი გადაადგილება დაიწყეს ევროპის ტერიტორიაზე, ფულის გაცვლა და გაცვლითი კურსის მერყეობა ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა.

აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ 1979 წელს შეთანხმდნენ, რომ ევროპული ვალუტების გაცვლითი კურსის ცვალებადობა დადგენილი ნიშნულიდან მხოლოდ +/– 2,25%-ის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო. შეიქმნა ევროპის სავალუტო სისტემა (ესს).




*ეკ-ის 25 წევრიდან 12 „ევროქვეყანას" შეადგენს.*

*ეს ქვეყნები შედის „ევროს ქვეყანაში"*
*ეს ქვეყნები გაერთიანებულია ეკ-ში, მაგრამ არ არიან სავალუტო კავშირის წევრები.*

ეკ-ის ფარგლებში გადახდის საშუალებად მიიღეს ეკიუ (ევროპის სავალუტო ერთეული), რომელიც დღევანდელი ევროს წინამორბედია. ეკიუ აუცილებელი იყო ფასებისა და გაცვლითი კურსის გაანგარიშებისთვის, თუმცა ეკიუს ბანკნოტები და მონეტები არ არსებობდა. ეს იყო გარდამავალი ხელოვნური ვალუტა.

1992 წელს, როცა ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღება გადაწყდა, შეეცადნენ, მოეძებნათ მისთვის ისეთი სახელი, რომელსაც ტექნიკური ჟღერადობა არ ექნებოდა და თანაც თავისი შინაარსით გამოხატავდა, რომ ლაპარაკი იყო ევროპის საერთო სავალუტო ერთეულზე. ასე შეიქმნა „ევრო"




1999 წლის იანვრიდან ევროპული ვალუტების ერთმანეთთან და ახალ საერთო ვალუტა-ევროსთან მიმართებაში გაცვლის კურსი ისე განისაზღვრა, რომ ერთი ცენტით გადახრაც კი არ მომხდარა. კაცმა რომ თქვას, ევრო სწორედ ამ დროიდან შემოიღეს, ოღონდ მოსახლეობას ორი წელი კიდევ ადროვეს, რათა ახალ ვალუტას შეჩვეოდნენ. 2001 წლის დეკემბერში ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვება დაიწყეს, ხოლო 2002 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირის ყველა მაღაზიაში გადახდის საშუალება ევრო გახდა.

თუკი იაფი და მცირე რაოდენობის საქონლის საყიდლად მეზობელ ქვეყანაში წასვლა არ ღირს, უფრო ძვირი ან მეტი რაოდენობის პროდუქტის შესაძენად ნამდვილად არ არის ურიგო. ეს განსაკუთრებით ხელსაყრელია მსხვილი ფირმებისა და მოვაჭრეებისთვის, რადგან შესაძლებლობა ეძლევათ, ფასისა და ხარისხის მიხედვით აირჩიონ და ერთბაშად შეიძინონ დიდი რაოდენობით საქონელი. ამის გამო ევროპის ბაზარზე ფასები ერთსა და იმავე დონეს ინარჩუნებს და მხოლოდ ოდნავ თუ მერყეობს.

**ბანკნოტები**
არსებობს 7 სხვადასხვა ღირებულების ევროს ბანკნოტი, 5-დან 500 ევრომდე. ისინი ყველა ქვეყანაში ერთნაირია: ბანკნოტის წინა მხარეზე გამოსახულია კარიბჭეები და ფანჯრები, რაც ევროკავშირში საჯაროობისა და თანამშრომლობის სიმბოლოა; უკანა მხარეზე — ხიდები, რომლებიც ევროპის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს კავშირს აღნიშნავს. ბანკნოტებზე გამოსახული შენობები რეალურად არ არსებობს, მაგრამ მათი სტილი ევროპის ისტორიის ნაწილია.

**რა უპირატესობები გააჩნია ევროს?**

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მცხოვრები მოქალაქეებისა და ფირმებისთვის ერთობლივი ვალუტის შემოღებით უსაფრთხოების მეტი გარანტიები შეიქმნა. აღარ არსებობს ფულის გადაცვლისა და კურსის მერყეობის პრობლემები. გერმანული მარკის, ფრანგული ფრანკის, იტალიური ლირის, ავსტრიული შილინგის თუ ჰოლანდიური გულდენის ნაცვლად ევროებით იხდიან.

ევროს მეშვეობით ევროპის ტერიტორიაზე გაადვილდა ფასების ერთმანეთთან შედარება, ნებისმიერი ადამიანი ანგარიშის გარეშეც ხვდება, რა ღირს მეზობელ ქვეყანაში მენიუში ჩამოთვლილი კერძები, კომპაქტ-დისკი, საოჯახო ხელსაწყო თუ მანქანა, მშვენივრად არკვევს, სად უფრო იაფია ესა თუ ის საქონელი, შინ თუ სხვაგან. ევროპული ბაზარი კლიენტებისთვის გაცილებით გამჭვირვალე გახდა და ადვილი მისახვედრია, სად რომელი პროდუქტის ყიდვა სჯობს.

**რამდენად სტაბილურია ევრო?**

როგორც კი ევრო შემოიღეს, ყველა დაძაბული ადევნებდა თვალყურს მის კურსს მსოფლიო ბაზრის უდიდეს ვალუტებთან — აშშ დოლარსა და იაპონურ იენთან მიმართებაში. ევროს, ისევე, როგორც რომელიმე სხვა ვალუტის ღირებულებას საერთაშორისო ბაზრებზე, საქონლისა და ფულის შეთავაზება და მოთხოვნა განსაზღვრავს. როგორც კი ვალუტაზე მოთხოვნა იზრდება, მისი გაცვლითი კურსიც იმატებს. მოთხოვნის კლებისთანავე, მაგალითად, 2003 წელს აშშ დოლარზე, კურსი ეცემა. 2003-2004 წლებში ევროს ძლიერებას, მეტწილად, სწორედ აშშ დოლარის სისუსტე განაპი-



## ცენტრალური ბანკი



ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ), რომელიც ფრანკფურტში მდებარეობს, გერმანიის ბუნდესბანკის და სხვა ეროვნული ვალუტების ბანკების ფუნქციებს ასრულებს. ეცბ თავისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით უზრუნველყოფს მრეწველობის მომარაგებას საჭირო რაოდენობის ვალუტით. იმავდროულად ზრუნავს იმაზეც, რომ ფული არ გაუფასურდეს.

**მონეტები**

ეკ-ში არსებობს სხვადასხვა ღირებულების 8 მონეტა, 1 ცენტიდან 2 ევრომდე. მათ წინა მხარე ერთნაირი აქვთ, ხოლო უკანა მხარეზე გამოსახულია სხვადასხვა ქვეყნის სიმბოლოები. ყველა მონეტა გადახდისუნარიანია.

რობებდა. ვალუტაზე მოთხოვნა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად წარმატებული ეკონომიკა აქვს მის მფლობელ ქვეყანას, ხომ არა აქვს დიდი ვალები, როგორ ფასდება მოცემულ ქვეყანაში ფასებისა და პროცენტების ზრდის დონე. ვალუტისადმი ნდობა იკლებს ქვეყანაში უმუშევრობის დონის მატებასა და სახელმწიფოს მიერ დიდი რაოდენობით კრედიტის ალებისთანავე თავისი ამოცანების შესასრულებლად.

ვალუტის გაცვლითი კურსი ეკონომიკისთვის წონასწორობის შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. იმ ქვეყნებს, რომელთაც შედარებით „სუსტი" ვალუტა აქვთ, შეუძლიათ თავიანთი პროდუქცია სხვა ქვეყნებში შედარებით ხელსაყრელ ფასებში გაყიდონ და ამით ვალუტის სტაბილური კურსი შეინარჩუნონ. „ძლიერი" ვალუტის მქონე ქვეყნებს ნაკლები საქონლის ექსპორტირება შეუძლიათ. ეს ხელს უწყობს გაცვლით კურსებს შორის წონასწორობის შენარჩუნებას.

თავისი არსებობის ხანმოკლე ისტორიის პერიოდში ევრომ ძლიერ რყევებს გაუძლო და ალბათ არც მომავალშია ამისგან დაზღვეული, რადგან მსგავსი რყევები დამახასიათებელია მსოფლიო ეკონომიკისთვის და სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. ეკ-ის წევრ-სახელმწიფოთა და ევრობანკის ამოცანაა, ხელსაყრელი გარემოს შექმნითა და სწორი ეკონომიკურ-ფინანსური პოლიტიკის გატარებით შეინარჩუნოს ევროს სტაბილური დონე.

ალებავისა
ა წყლის დამცავი
ნიშნები, ჰოლოგრამები,
სპეციალური ფირი, განსაკ-
უთრებული ქაღალდი და ბოჭკო
პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის
ფულის გაყალბებას. უფრო დაწვრილე-
ბით ევროს გაყალბებისგან დამცავი მექა-
ნიზმების შესახებ ინფორმაციის მიღება შე-
საძლებელია ინტერნეტში.







ბანკნოტები შეფერილობით ერთმანეთისგან განსხვავდება. ვისაც მხედველობის პრობლემები აქვს, მისთვის დატანილია ხელით ადვილად შესაგრძნობი ნიშნები.



პორტუგალიური 2 ევროიანის უკანა მხარეს XIIს-ის ბეჭედია.







როცა ქვეყნის ეკონომიკა ძლიერია, ადამიანებს მეტი შემოსავალი აქვთ, მსყიდველობითუნარიანობაც იზრდება. შესაბამისად, ვალუტაც მყარია. უმუშევრობისა და არასტაბილურობის ფონზე ვალუტისადმი ნდობა ეცემა და შესაბამისად, მისი კურსიც დაბლა იწევს.



ევროკავშირის საბჭო ბრიუსელში. არქიტექტორი იუსტუს ლიპსიუსი.



ევროკომისიის შტაბბინა არქიტექტორი ბრეიდელი.



ევროპის საინვესტიციო ლუქსემბურგში.

# ევროკავშირის მთავრობა

**ჰყავს თუ არა ეკ-ს თავისი მთავრობა?**

ეკ-ის სახელმწიფოები მრავალ სფეროში მჭიდროდ თანამშრომლობენ. მათ შორის 12 ქვეყანას საერთო ვალუტა ევრო აქვს. ამ პირობებში ევროპის გაერთიანების ნაცვლად, „ევროპის შეერთებული შტატების" შექმნაზეც შეიძლებოდა ფიქრი (აშშ-ს მსგავსად, რომელიც 50 შტატისაგან შედგება და ჰყავს საერთო მთაერობა, რომელიც ვაშინგტონშია), მაგრამ ევროკავშირს საერთო მთაერობა არ ჰყავს. ეკ-ის წევრ ყოველ ქვეყანას თავისი საკუთარი პოლიტიკური და კულტურული ტრადიციები, არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. სანამ ეს ქვეყნები ერთმანეთს დაუკავშირდებოდნენ, მათ უკვე ჰყავდათ თავიანთი მთავრობები, ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფოებრივი მოწყობა და სამართლებრივი სისტემა.

ხშირად სწორედ ზემოთ აღნიშნული ართულებს წევრ-სახელმწიფოთა შორის საერთო ევროპულ საკითხებში შეთანხმების მიღწევას. ვინაიდან თითოეულ სახელმწიფოში საკითხების უმეტესობაზე უკვე არსებობს მზა პასუხები და, რა თქმა უნდა, ყველას თავისი აზრი მიაჩნია საუკეთესოდ (ყოველ შემთხვევაში, თავისი ქვეყნისთვის). ამიტომ ისინი სულაც არ აპირებენ თავიანთი აზრი ევროპულ მოდელს ანაცვალონ და „სანაგვეზე მოისროლონ" ამ დროს საჭიროა კომპრომისული გზების გამონახვა, როგორც ეს ოჯახში ამა თუ იმ საკითხზე სხვადასხვა პოზიციის არსებობისას ხდება.

ყველა წინადადებას კრებენ და მათგან საუკეთესოებს ერთიან იდეად აყალიბებენ. პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების შესწავლისა და გაზიარების საფუძველზე შეიმუშავებენ მოცემული საკითხის გადაწყვეტის ისეთ გზას, რომელიც მისაღები იქნება მთელი ევროპისთვის. თუმცა კომპრომისი ყოველთვის რომ არ ამართლებს, ეს დღესავით ნათელია. ოჯახშიც ხომ ხშირად ხდება ასე.

მნიშვნელოვანია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც თანაარსებობას გააადვილებს. იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს საკითხის განხილვა, მოლაპარაკება და გადაწყვეტილების მიღება, მრავალი ოფიციალური ორგანო და მომსახურე პერსონალია საჭირო. იმ ინსტიტუციების სახელწოდებები, რომლებიც ეკ-ში აღნიშნულ ამოცანებს ახორციელებენ, მთავრობის სახელწოდებებივით ჟღერს: ევროსაბჭო, ევროკავშირის მინისტრთა საბჭო, ევროკომისია და ევროპარლამენტი.

**გადაწყვეტილებები**
ეკ-ის ქმედებებს წევრ-სახელმწიფოთა მოქალაქეების მიერ არჩეული სახელმწიფო და მთავრობის მეთაურები წარმართავენ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას ევროპის მოქალაქეთა წარმომადგენლების ევროპარლამენტის თანხმობაა საჭირო. ევროხელშეკრულებები განსაზღვრავს, რომელ სფეროში უნდა მოხდეს შეთანხმება, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება თუ შესაბამისი ინსტანციის შექმნა.



ეკ-ის წევრთა ურთიერთთანამშრომლობის წესები ზუსტადაა ერთმანეთთან შეთანხმებული.



*ევროპის სასამართლო ლუქსემბურგში.*



*ევროპის ზარაფხანა ლუქსემბურგში.*



*სტრასბურგი. ევროპარლამენტის შტაბბინა. არქიტექტორი ლუის*

**ბერლეიმონტი**
1967 წლიდან 1991 წლამდე ევროპის კომისია ბრიუსელში, ბერლეიმონტში იყო განთავსებული. შენობის სიძველის გამო 1991 წელს იგი 3000-მა მოხელემ დატოვა და სხვაგან გადავიდა. შენობა გაარემონტეს და 2005 წლის ბოლოდან კვლავ ფუნქციონირებს. ევროკომისიის 24000 მოხელის უმეტესობა ბრიუსელში მუშაობს. თუმცა კომისიის წარმომადგენლობები მუშაობენ ევროპის სხვა მსხვილ ქალაქებშიც: ბერლინში, ბუდაპეშტში, პარიზში, მადრიდში, პრაღასა და ვენაში. ეკ-ის დიდ პარტნიორ ქვეყნებში კომისიებს ბიუროები აქვთ გახსნილი.



**აქვს თუ არა ეკ-ს დედაქალაქი?**

ნამდვილად უსამართლობა იქნებოდა, თუ ეკ-ის ყველა ორგანოს ერთ ქალაქში მოუყრიდნენ თავს. ამით აღნიშნული ქალაქი გარკვეულწილად ეკ-ის დედაქალაქად გადაიქცეოდა, რითაც უპირატესობა მიენიჭებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს, რაც დანარჩენი სახელმწიფოებისთვის ნამდვილად მიუღებელი იქნებოდა. ამიტომაც ეკ-ის ოფიციალური ორგანოები ევროპის სხვადასხვა ქალაქებშია გაბნეული.

ასე მაგალითად, ბრიუსელში ევროკომისიის შტაბბინა მდებარეობს, აქვე იმართება ევროპარლამენტის წევრთა თათბირი სხვადასხვა კომისიებში, ასევე ხშირად ტარდება ევროპარლამენტის რეგულარული სხდომები, თუმცა თვეში მინიმუმ ერთ კვირას ევროპარლამენტი სტრასბურგში – თავის ახალ შენობაში მუშაობს. ევროპარლამენტის გენერალური სამდივნო ლუქსემბურგში მდებარეობს.

იმის გამო, რომ ევროპარლამენტი ადგილს ხშირად იცვლის, მას მეტსახელად „მოხეტიალე ცირკსაც" უწოდებენ, თუმცა ამის მიზეზი ისიცაა, რომ არც ერთ ქვეყანას არ სურს განზე დარჩენა. ევროპის სასამართლო ლუქსემბურგში მდებარეობს, აქვეა ევროპის ზარაფხანა და ევროპის საინვესტიციო ბანკი. გერმანიაში, კერძოდ, ფრანკფურტში, მდებარეობს ევროპის ცენტრალური ბანკი.

*ევროპის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციები განთავსებულია ბრიუსელში, ლუქსემბურგში, სტრასბურგსა და ფრანკფურტში.*





*ევროპარლამენტის სხდომათა დარბაზი. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებელია ევროპარლამენტის, როგორც მოქალაქეთა წარმომადგენლების, თანხმობა.*

**წარმომადგენელი**
საგარეო ასპარეზზე ეკ-ის ოფიციალური წარმომადგენელია საბჭოს პრეზიდენტი ევროპის სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარე. მას ირჩევენ ყოველ ექვს თვეში ერთხელ ეკ-ის რომელიმე წევრი ქვეყნიდან წინასწარ დადგენილი გეგმის მიხედვით. საგარეო და უშიშროების პოლიტიკის სფეროში ეკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი წარმოადგენს.

**როგორ აღწევენ ურთიერთშეთანხმებას სახელმწიფოები?**

ხმის მიცემისას მეტწილად მსგავსი ან ერთნაირი ინტერესების მქონე ქვეყნების ჯგუფები იქმნება. ასე, მაგალითად, თუკი გერმანიისთვის ევროპის აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოებას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა, მისი სამხრეთელი მეზობლებისთვის ინტერესების სფერო ხმელთაშუა ზღვის აუზი იყო.

ასევე განსხვავებული მოსაზრებები წარმოიშობა ხოლმე ეკ-ში შესვლის კანდიდატებისთვის ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით. ხშირად მოცემულ საკითხზე თანხმობის სანაცვლოდ სხვა საკითხებში დათმობა ხდება საჭირო. მაგალითად, ეკ-ის აღმოსავლეთისკენ გაფართოებაზე თანხმობისთვის ესპანეთმა ფინანსური დახმარება მიიღო. ასევე უთანხმოებას იწვევდა გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილის სასაზღვრო რაიონებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მხრიდან კონკურენციის ზეწოლის გათვალისწინებით დახმარებების გაზრდა. ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ევროგაერთიანების პროგრესული ნაბიჯებისა, ხშირად ყოველი მისი წევრი საკუთარი ინტერესების დასაცავად იბრძვის. თუმცა მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რა არის უკეთესი მთლიანად ევროპისა და თითოეული სახელმწიფოსთვის, წარმოადგენს პოლიტიკური შეთანხმების საგანს, რაც უდავოდ ხელს უწყობს გაწონასწორებული, გონივრული გადაწყვეტილებების მიღებას.

## შეხვედრები უმაღლეს დონეზე

ე.წ. უმაღლესი დონის შეხვედრები რიგრიგობით იმართება ევროპის სხვადასხვა ქალაქში. ერთმანეთს ხვდებიან ეკ-ის საბჭოს წარმომადგენლები. სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა მოვალეობაა, განსაზღვრონ ერთობლივი პოლიტიკის მიზნები და შეიმუშაონ ევროსაბჭოს მუშაობის ძირითადი მიმართულებები.




*2003 წლის ოქტომბერში რომში შედგა ეკ-ის 15 ძველი წევრი-ქვეყნისა და გაწევრიანების მსურველი 10 კანდიდატი-სახელმწიფოს მთავრობის მეთაურების უმაღლესი დონის შეხვედრა. მას შემდეგ, რაც ევროპის კონვენტმა ერთ წელიწადზე მეტ ხანს იმუშავა კონსტიტუციის პროექტზე, კიდევ დიდხანს ცხარედ კამათობდნენ ცალკეულ დეტალებზე. 2004 წლის ივნისის უმაღლესი დონის შეხვედრაზე შეთანხმდნენ და დადეს ხელშეკრულება ეკ-ის კონსტიტუციის შესახებ.*













*ეკ პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროში აქტიურად მონაწილეობს. აქ წარმოდგენილი სფეროების გარდა, ესენია: დასაქმებისა და სოციალური, განათლებისა და კულტურის, ენერგიის, თევზრეწვის, საინფორმაციო, მომხმარებელთა დაცვის, რეგიონული პოლიტიკის, მართლისა და საბაჟო კავშირის, ასევე კონკურენციის სფეროები.*

**კომიტეტები**

ეკონომიკისა და სოციალური საკითხების კომიტეტში გაერთიანებული არიან ევროპის სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფის წარმომადგენლები, კერძოდ, დამსაქმებლებისა და დასაქმებულთა, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის მუშაკების, მომხმარებელთა და ეკოლოგიური კავშირების წევრები. კომიტეტი თავის აზრს გამოთქვამს ეკ-ის მნიშვნელოვან სამართლებრივ დადგენილებებთან დაკავშირებით, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებლად ითვალისწინებენ. რეგიონულ კომიტეტში შედიან ევროპის ლოკალური და რეგიონული ორგანოების წარმომადგენლები. მაგალითად, გერმანიასა და ავსტრიაში ფედერალური მიწების წარმომადგენლები, სხვა ქვეყნებში დიდი ქალაქებისა და რაიონების მერები. ისინი თავიანთ სამსახურებში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოქალაქეებთან მჭიდრო თანამშრომლობაზე ზრუნავენ.

**ვინ დგას ეკ-ის სათავეში?**

ეკ-ის უმაღლეს ორგანოს ევროსაბჭო წარმოადგენს. მასში შედიან ევროპის სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურები (მაგალითად, გერმანიისა და ავსტრიის შემთხვევაში, ფედერალური კანცლერები). ისინი განიხილავენ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, მაგალითად, დაფინანსების შესახებ, საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს და მისთ.

სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა შეხვედრები წელიწადში მინიმუმ ორჯერ იმართება იმ ქვეყანაში, რომელსაც ირჩევს პრეზიდენტთა საბჭო და მკაცრად განსაზღვრული გეგმის მიხედვით. ყოველ ექვს თვეში ერთხელ ერთი წევრი ქვეყნიდან მეორეში ინაცვლებს. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ძირეული საკითხების წინ წამოწევა და ყველასთვის სასურველი პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება. თუკი ამა თუ იმ საკითხს ერთსულოვნად ან ხმათა უმრავლესობით არ მიიღებენ, იგი ხელახლა უნდა განიხილონ.

მნიშვნელობით მეორე ადგილზე დგას ევროკავშირის საბჭო, რომელსაც ევროპის მინისტრთა საბჭოსაც უწოდებენ. მასში გაერთიანებულნი არიან 25-ვე წევრი-სახელმწიფოს მინისტრები. ისინი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში არსებულ საკითხებზე მსჯელობენ, მაგალითად, სოფლის მეურნეობის მინისტრები აგრარულ პოლიტიკას განიხილავენ, ადგენენ პროდუქციის ფასებს ან, ვთქვათ, გეგმავენ ერთობლივ აქციებს ცხოველების რაიმე გადამდები სენის გავრცელებასთან დაკავშირებით. თუ ერთმანეთს ეკონომიკის ან ფინანსთა მინისტრები ხვდებიან, რა თქმა უნდა, თათბირობენ იმ თემებზე, რომლებიც, მაგალითად, შიდა ბაზარს ან ევროს შეეხება. ევროპის მინისტრთა საბჭოში აღარ არსებობს ერთსულოვანი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა. ეს საჭირო ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს ეხება, მაგალითად, საგადასახადო პოლიტიკას. სხვა შემთხვევებში უბრალო უმრავლესობაც საკმარისია. იგულისხმება არა მარტო მინისტრების, არამედ იმ ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობაც, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ.














## რას აკეთებს ეკ-ის კომისია?

ევროკომისიაში თითო ქვეყანას თითო კომისარი წარმოადგენს (სულ 25), საერთო ჯამში ამ ორგანოში 24000 კაცია დასაქმებული. ეს რიცხვი იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება აღნიშნულ ინსტიტუტს.

ეს კომისია ეკ-ის ერთგვარ „ძრავას" და „მცველს" წარმოადგენს. „ძრავა" მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე ზრუნავს. ის შეიმუშავებს კანონ-პროექტებს, რომლებსაც შემდგომ კენჭს უყრიან.

იმისათვის, რომ კანონები (დადგენილებები და ძირითადი მიმართულებები) კავშირისა და მისი მოქალაქეების საერთო ინტერესებს შეესაბამებოდეს, კომისია იწვევს ექსპერტებს მთავრობებიდან, მრეწველობიდან და პროფკავშირებიდან, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სამსახურებიდან და სხვა დაინტერესებული ჯგუფებიდან. თუკი ევროპის მინისტრთა საბჭო და ევროპარლამენტი მხარს დაუჭერენ კანონპროექტებს, ევროკომისია ზრუნავს იმისთვის, რომ აღნიშნული კანონები წევრ-სახელმწიფოებში გატარდეს. ამიტომ უწოდებენ ევროკომისიას „მცველს"




## რა გადაწყვეტილებებს იღებს ევრო-პარლამენტი?

ევროპის პარლამენტი, შემოკლებით, ევროპარლამენტი ეკ-ის 454 მლნ მოქალაქის ინტერესებს იცავს. მისი როლი წლითიწლობით იზრდება. თავდაპირველად ევროპარლამენტს მხოლოდ ევროკომისიაში შეეძლო თავისი აზრის გამოთქმა, მას უბრალოდ „უსმენდნენ", ახლა კი ბევრ სფეროს მოიცავს, მაგალითად, მუშაობს ეკონომიკურად სუსტი რეგიონებისთვის მხარდაჭერის შესახებ კანონპროექტებზე. არსებობს რიგი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ევროპარლამენტის თანხმობის გარეშე შეუძლებელია. მაგალითად, როცა საქმე ეხება ახალი წევრის მიღებას. ევროპარლამენტი აკონტროლებს ევროკავშირის ამოცანების შესრულებას და ხმის უფლება აქვს მანამ, ვიდრე ევრო-

**შემოწმება**

ეკ-ის შემოსავალსა და გასავალს ამოწმებს ევროპის ზარაფხანა, რომელიც ლუქსემბურგში მდებარეობს. ეკ-ის ადმინისტრაციის ხარჯები ევროპის ცალკეულ სახელმწიფოთა ბიუჯეტთან შედარებით საკმაოდ მცირეა.

**კონტროლი**
ევროკომისია განკარგავს ევროკავშირის ფინანსებს. ლაპარაკია უზარმაზარ თანხებზე. 1999 წელს გაჩნდა ეჭვი, რომ ევროკომისიის ზოგიერთმა წევრმა ქრთამი აიღო და/ან თანხების გაცემისას დაშვებულ დარღვევებს სათანადო ყურადღება არ მიაქცია. ამის გამო ევროკომისიის მეთაურმა თავისი პოსტი დატოვა. კომისრები ხელახლა აირჩიეს და მსგავსი დარღვევების აღმოსაფხვრელად შექმნეს ახალი სამსახური.

კომისიის ხელმძღვანელობა ევროკავშირის ქვეყნების პრეზიდენტებსა და კომისრებთან შეთანხმდება.

**ვინ არიან ევროპარლამენტის წევრები?**

1979 წლიდან ეკ-ის მოქალაქეები ევროპარლამენტს ყოველ 5 წელიწადში ერთხელ პირდაპირი წესით ირჩევენ. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა მეტწილად ძალიან მცირეა, რაც, ნაწილობრივ, ეროვნული მთავრობების კრიტიკით, ნაწილობრივ კი, პარტიების მხრიდან გაურკვეველი პოლიტიკითა და აპათიით შეიძლება აიხსნას. ხშირად ისიც კი არაა გარკვეული, რამდენად ახდენს ზეგავლენას ეკ-ის გადაწყვეტილებები მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე და აქვს თუ არა ევროპარლამენტს, რომელშიც მოქალაქეთა მიერ არჩეული წარმომადგენლები შედიან, ამ გადაწყვეტილებების მიღებისას გადამწყვეტი ხმის უფლება.

აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის ზრდას, რაც თვალნათლივ დაანახვებდა სახელმწიფოებსა და მათი მთავრობების მეთაურებს, რომ ევროპის მოქალაქეები დაინტერესებულნი არიან საერთო ევროპის მომავალი თავიანთი შეხედულებებისამებრ განსაზღვრონ. არჩევნებში ერთი რომელიმე წევრი-ქვეყნის კანდიდატებად იქ არსებული პარტიების წარმომადგენლები არიან. საერთო ჯამში ევროპარლამენტში თითქმის 100 პარტიის წარმომადგენელი შედის.

ვინაიდან, ევროპის ქვეყნების პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ჰგავს, შესაძლოა შესაბამისი პროგრამების მიხედვით მათი 8 ჯგუფად – ფრაქციად დაყოფა (იხ. გრაფიკი). პარლამენტის დიდი სხდომების გარდა, საპარლამენტო მუშაობა მეტწილად ე.წ. კომიტეტებში მიმდინარეობს. კომიტეტებში შედიან პარლამენტართა შედარებით მცირე ჯგუფები, რომლებიც მრავალ თემაზე მსჯელობენ.

**2004 წლიდან შექმნილი ფრაქციები.**
2004 წლის არჩევნების შემდეგ ევროპის სახალხო პარტია, რომელიც თავის თავს „ევროპის დემოკრატებს" უწოდებს, ყველაზე ძლიერ ფრაქციას წარმოადგენს. (გერმანიიდან და ავსტრიიდან მასში შედის ქდკ-ს, ქსკ-სა და ასპ-ს წარმომადგენლები). მეორე ადგილზე დგას ევროპის სოციალურ-დემოკრატიული პარტია (გერმანიისა და ავსტრიის სოციალისტური პარტიების ევროპული სამშობლო), შემდეგ მოდიან ლიბერალები, მწვანეები, ევროპის გაერთიანებული მემარცხენეები, უპარტიოები და ევროპის გაერთიანების მოწინააღმდეგენიც კი.

*უფლებამოსილების ვადა 2004-2009წწ.*




*ევროპარლამენტის დეპუტატები ერთდროულად წარმოადგენენ თავიანთ პარტიასა და ქვეყანას.*





*ევროსასამართლოს მოსამართლეთა სხდომა ლუქსემბურგში.*

### რას განიხილავს ევროსასამართლო?

ევროპის სასამართლოში 25 მოსამართლე და 8 გენერალური პროკურორია. მათ წევრი-სახელმწიფოები 6 წლის ვადით ირჩევენ. სასამართლო განიხილავს ეკ-ის ხელშეკრულებებს, დადგენილებებსა და ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს. თუკი ეკ-ის წევრი-ქვეყანა არ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს, ევროკომისიას შეუძლია, ეს შემთხვევა განსახილველად შეიტანოს ევროსასამართლოში. მაგალითად, როცა წევრი-ქვეყანა თავისი ქვეყნის კანონებს დროულად არ მოარგებს ეკ-ის რომელიმე ძირითად მიმართულებას ან საერთოდ არ გაითვალისწინებს ამ უკანასკნელს.




*2000 წელს კოსოვოში ევროკორპუსის შემადგენლობაში იყვნენ გერმანელი ჯარისკაცებიც. ეს მჭიდროდ თანამშრომლობს ნატოსთან, ოღონდ მხოლოდ მაშინ ერევა სამხედრო აქციაში, როცა ეს ნატოს ფუნქციებში არ შედის, არ სურს ან არ შეუძლია მოქმედება.*

### ჰყავს თუ არა ეკ-ს საკუთარი არმია?

ეკ-ის წევრ-სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობისთვის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ხდება. იგულისხმება მშვიდობის დაცვა, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გაძლიერება, ასევე ადამიანების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა და პატივისცემა. მართალია, ეკ-ის ყველა წევრს საერთო მიზნები აქვს, მაგრამ საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკაში ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია. ეს სფერო ეკ-ის თითოეული წევრი-სახელმწიფოსთვის საკუთარი ტერიტორიის ფარგლებშიც მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ ისინი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას ამჯობინებენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობენ, ერთმანეთთან წინასწარი შეთანხმების გზით, საერთო პოზიცია ჰქონდეთ. საგარეო და უშიშროების პოლიტიკის წარმატებებსა და პრობლემებზე კარგ წარმოდგენას გვიქმნის ეკ-ის სამხედრო ნაწილები: იუგოსლავიის ომის გამოცდილების შემდეგ გაჩნდა ეკ-ის სამხედრო ქმედითუნარიანობის სურვილი. ამიტომ შეიქმნა ეკ-ის ნაწილები, რომლებიც კრიზისულ რეგიონებში სამშვიდობო ჩარევის მიზნით გამოიყენება, ოღონდ ნატოსთან შეთანხმებით. მომავალში ისინი ცენტრალურ როლს ითამაშებენ ევროპის ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში. ეკ-ის ყველა წევრისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა მაკედონიაში მშვიდობისა და დემოკრატიის შენარჩუნება და ამ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი ეკ-ის სამხედრო ძალებმა.

**ნატო**

ნატო (ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი) შეიქმნა 1949 წელს. იგი დააფუძნეს აშშ-მ, კანადამ და ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ, როგორც სამხედრო-თავდაცვითი გაერთიანება. 1954 წელს ნატოში შევიდა დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი, ბელგია, ჰოლანდია, გერმანია და იტალია. ნატოში გაერთიანებული ქვეყნები ვალდებულნი არიან დახმარება გაუწიონ ერთმანეთს სამხედრო თავდასხმებისას, მაგალითად, როგორიც იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი აშშ-ში. ევროპის ქვეყნების ქმედებანი და შეხედულებები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც თვალნათლივ გამოჩნდა 2003 წელს ერაყის ომთან მიმართებაში.



*ნატოს დროშა*

# ეკ-ის მოქალაქეები და ენები




*ეკ-ში დასაქმებული მოხელეთა შვილები სწავლობენ იმ ქალაქებში, სადაც მათი მშობლები მუშაობენ. ევროპის სკოლებში გარკვეულ საგნებს 2-3 ენაზე სწავლობენ, თუმცა შესვენებებზე ყველა მაინც თავის ენაზე საუბრობს.*




### ვინ მუშაობს ეკ-სთვის?

როცა რადიოთი, ტელევიზიით ან პრესით სახელმწიფოთა მეთაურების ან მინისტრების შეხვედრებს აშუქებენ, იშვიათად თუ ვინმე ახსენებს, რამდენი ადამიანია ჩართული ეკ-ის გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღების პროცესში.

ეკ-ის ინსტიტუციებში დაახლოებით 30000 მოხელე მუშაობს. მათ მკაცრად შემუშავებული წესის მიხედვით ირჩევენ. არჩევნებში მონაწილეობა ევროპის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. პროფესიული არჩევანი მეტად მრავალფეროვანია. აქ სჭირდებათ კვების ობიექტების პერსონალი, მძღოლები, ბიუროებისა და სამდივნოების თანამშრომლები, ექსპერტები, რომლებიც ეკ-ის საკანონმდებლო ტექსტებს შეიმუშავებენ და მოლაპარაკებებში მიიღებენ მონაწილეობას.

ყველა სამუშაო ადგილის საკონკურსო პირობები ქვეყნდება ეკ-ის ვებ გვერდზე. შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პიროვნებას, ვინც მიიჩნევს, რომ საკონკურსო პირობებს აკმაყოფილებს. ეკ-ის მოხელეთა რიცხვი თითოეული წევრი-სახელმწიფოს მოქალაქეთა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება.




### რომელ სკოლაში სწავლობენ ეკ-ის მოხელეთა შვილები?

ევროპის რომელიმე ინსტიტუციაში დასაქმებული ადამიანები მეტწილად საცხოვრებლადაც სამსახურთან ახლოს გადადიან. ისეთ ადგილებში, სადაც ეკ-ის ბევრი მოხელეა თავმოყრილი (მაგალითად, ბრიუსელში, ლუქსემბურგსა თუ მიუნხენში), ევროპის სკოლები არსებობს. ამ სკოლების მოსწავლეებს საშუალება აქვთ განათლება თავიანთი მშობლიური ენისა და ქვეყნის სასწავლო პროგრამის შესაბამისად მიიღონ. სკოლები დაყოფილია ენობრივ სექციებად. მეორე ენას თავიდანვე ასწავლიან, ხოლო მე-3 კლასიდან საერთო „ევროგაკვეთილები" (შრომა, თამაშები, პროექტები) ტარდება, სადაც ერთად იკრიბებიან ყველა ენობრივი სექციის ბავშვები.

მე-6 კლასიდან (II საფეხური)

**სკოლა**

ევროპის სასკოლო სისტემები და სასწავლო პროგრამები ჯერ კიდევ ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, თავად გერმანიაში რამდენიმე სასწავლო პროგრამა მუშაობს. უმრავლეს ქვეყნებში ბავშვები 5 წლიდან



მიდიან სკოლაში, 16 წლის ასაკში ასრულებენ სასკოლო განათლების პირველ საფეხურს, ხოლო 18 წლიდან აბარებენ უმაღლეს სასწავლებელში. სწავლა მეტწილად 9სთ-ზე იწყება და შუადღემდე გრძელდება. მაგალითად, საფრანგეთისა და ბელგიის სკოლების მოსწავლეები სკოლიდან დაახლოებით 16სთ-ზე ბრუნდებიან.

უცხო ენაზე ასწავლიან გარკვეულ საგნებს, მაგალითად, ისტორიასა და გეოგრაფიას. ამის წყალობით ბავშვები იოლად ეუფლებიან რამდენიმე ენას, რაც დიდი უპირატესობაა თითოეული ბავშვისთვის, რადგან მათ ხშირად უხდებათ სკოლის გამოცვლა, მათი მშობლების სამშობლო ხომ მთელი ევროპაა.

**რომელ ენებზე ლაპარაკობენ ეკ-ში?**

ეკ-ის გაფართოებასთან ერთად 2004 წლის ოფიციალურ ენათა რიცხვი 11-დან 20-მდე გაიზარდა. ვინაიდან ყველა მოხელე ვერ ფლობს ოცივე ენას, მუშაობისას უპირველესად ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები გამოიყენება. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი აქტები და ინფორმაციები ოცივე ოფიციალურ ენაზე ითარგმნება, რათა ეკ-ის ყველა სახელმწიფომ და მოქალაქემ დაუბრკოლებლად მიიღოს ინფორმაცია და შეძლოს ეკ-ის ინსტიტუტებსა და თანამშრომლებთან ურთიერთობა. არავინაა ვალდებული, ეკ-ის ოფიციალური ქაღალდები ან მისდამი გაგზავნილი წერილები თავად თარგმნოს. ეკ-ისა და მისი ოფიციალური ორგანოების მიმართ ნებისმიერი მოთხოვნა, წინადადება თუ საჩივარი შეიძლება გაიგზავნოს ნებისმიერ ოფიციალურ ენაზე. შემოსული ინფორმაცია ითარგმნება მათზე მომუშავეთა ენაზე, ხოლო ეკ-ის ინფორმაციებს ყველა ოფიციალურ ენაზე თარგმნიან. ეკ-თან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ინტერნეტში განთავსებულია ოცივე ენაზე.

ადვილი წარმოსადგენია, რომ წერილობით თარგმნასა და კონფერენციებზე ზეპირ თარჯიმნობასთან უზარმაზარი ხარჯებია დაკავშირებული. თარგმნისა და თარჯიმანთა სამსახურში დღესდღეობით დაახლოებით 2350 თანამშრომელი და უამრავი მოხალისეა ჩაბმული.

ეკ-ის 20 ოფიციალური ენაა: ჩეხური, დანიური, გერმანული, ესტონური, ბერძნული, ინგლისური, ესპანური, ფრანგული, იტალიური, ლატვიური, ლიტვური, უნგრული, მალტური, ჰოლანდიური, პოლონური, პორტუგალიური, სლოვენური, სლოვაკური, ფინური, შვედური.

თუკი მოცემულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების რაოდენობასა და ამ ენის გავრცელების არეალს გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ ეკ-ში ყველაზე გავრცელებული ენა ინგლისურია. მას მოჰყვება ფრანგული, შემდეგ გერმანული და იტალიური.

ევროპის მოქალაქეთა თითქმის ნახევარი მშობლიური ენის გარდა, ერთ ან რამდენიმე ენას ფლობს. ამ მხრივ, დიდი განსხვავებაა სახელმწიფოებს შორის: ლუქსემბურგში, დანიასა და შვედეთში მოსახლეობის 80% მრავალენოვანია. ირლანდიაში, პორტუგალიასა და დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის მხოლოდ 1/3 ფლობს საამისო ცოდნას, რომ რომელიმე უცხო ენაზე ისაუბროს.



თარჯიმნებს საშუალება ეძლევათ, გახდნენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უშუალო მომსწრენი და გაიცნონ უამრავი საინტერესო ადამიანი.

**კომუნიკაცია**

ეკ-ის კონფერენციებზე თარჯიმნები, მომხსენებლის პარალელურად, სინქრონულად თარგმნიან. მაგალითად, ფრანგულ ენაზე წაკითხულ მოხსენებას – გერმანულ ენაზე. გერმანულენოვან მსმენელს თარგმანი ინდივიდუალური რადიოთი მიეწოდება. ამავდროულად მიმდინარეობს მოხსენების ეკ-ის სხვა ოფიციალურ ენებზე თარგმნაც.





# ეკ-ის ფინანსები



*გერმანიის 9 ფედერალური მიწა დახმარებას იღებს ეკ-ის რეგიონული და სტრუქტურული ფონდიდან.*

**აგრარული პოლიტიკა**
სოფლის მეურნეობისთვის ხელშეწყობა ომის შემდგომ პერიოდშივე დაიწყო, რადგან მთავრობებს უნდა ეზრუნათ, რომ დანგრეული ევროპის მოსახლეობას საკვები არ მოკლებოდა. თუმცა, თუ ადრე გლეხის ნაწარმი დამატებით მხოლოდ ერთ მოქალაქეს გამოკვებავდა, დღესდღეობით იგი 100 მოქალაქეს ყოფნის. შესაბამისად, იკლო სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა რაოდენობამაც. ეკ-ის 15 სახელმწიფოში ეს ციფრი დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 3,4%-ს შეადგენს, ახლად მიღებულ 10 ქვეყანაში კი სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 10%-ზე მეტი მუშაობს. ეკ-მა დააფინანსა „არიანეს" ხუთი რაკეტის წარმოება. იგი ასევე ხელს უწყობს მცენარეების ისეთი უხემოსავლიანი ჯიშების გამოყვანას, რომლებიც დაავადებების გამომწვევ მიკრობებსა და მავნებლებს იოლად გაუმკლავდება. ფინანსდება ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებიც, როგორიცაა, მაგალითად, ქარის ძალით ელექტროენერგიის წარმოება.

**როგორ ფინანსდება ეკ?**

ევროკავშირის ბიუჯეტი 2004 წელს 110 მილიარდს შეადგენდა. ამ თანხის დიდი ნაწილი წევრი-სახელმწიფოებიდან შემოდის. რაც უფრო მაღალია სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონე, მით მეტია მისი შენატანი ეკ-ში. ვინაიდან გფრ ეკ-ის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ეკონომიკურად ყველაზე ძლიერია, მისი საწევრო შენატანი ყველაზე მეტია. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცალკეული წევრი-ქვეყნები ეკ-ის სალაროდან გარკვეულ თანხებს იღებენ, მაგალითად, გერმანია ახალი ფედერალური მიწებისთვის მისი დახმარებით სარგებლობს.

**რა მიზნებისთვის ხარჯავს ეკ თანხებს?**

ეკ ერთი წლით ადრე გეგმავს, რომელი პროექტები უნდა დაფინანსდეს. დღესდღეობით თანხების უმეტესი წილი სოფლის მეურნეობის, რეგიონული და სტრუქტურული მხარდაჭერის დაფინანსებაზე მოდის; მცირე წილი სამეცნიერო კვლევებსა და ახალ ტექნოლოგიებზე იხარჯება.

ეკ-ის ფინანსების თითქმის ნახევარი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას ხმარდება. პირველ რიგში, პროდუქციის ფასებს „იცავენ", რაც იმას ნიშნავს, რომ ეკ ფერმერებს მოსავალში წინასწარ დადგენილ ფასს უხდის, რაც მათი გარანტირებული შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. ამ სისტემის დანერგვა და დაფინანსება ვერ მოხერხდებოდა ეკ-ში გაწევრიანების მსურველ იმ ქვეყნებში, სადაც წარმოება კარგადაა აწყობილი. ამიტომ სოფლის მეურნეობის მინისტრმა 2003 წელს განახორციე-







*ეკ ეხმარება სოფლის მეურნეობის ყველა დარგს, იქნება ეს მერძევეობა გერმანიაში, მევენახეობა საფრანგეთში, ირმების მოშენება ნორვეგიაში თუ თევზჭერა დანიაში.*







*ეკ-მა ხელი შეუწყო რაკეტა არიანე 5-ის წარმოებას. იგი მხარს უჭერს და აფინანსებს მცენარეთა მოსავლიანი ჯიშების მიღებას, რომლებიც ავადმყოფობების გამომწვევებს და მავნებლებს უკეთ უძლებს. ასევე მხარს უჭერს ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს. მაგ., ქარის დახმარებით ენერგიის წარმოებას.*

ლა ეკ-ის აგრარული ბაზრის მოწყობის რეფორმა, რომლის მიზანიც მარცვლეულზე, ხორცსა და სხვა პროდუქტზე საგარანტიო ფასების კლება და მათი მსოფლიო ბაზრის ფასებთან მიახლოება იყო. ამის შედეგად წარმოქმნილი საშემოსავლო დანაკარგები გლეხებისთვის პირდაპირი გადახდით ბათილდება. ამასთან მაღალხარისხიან, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას უფრო მეტი ხელშეწყობა აქვს.

გარდა ამისა, იმ ახალი წევრი-სახელმწიფოების სოფლის მეურნეობის მუშაკები, სადაც ფასები გაცილებით დაბალი იყო, ნელ-ნელა ერთვებიან საგარანტიო ფასების სისტემაში. 2004 წელს ეკ-ში შესვლისას მათ აგრარულ პროდუქციაზე ეკ-ის ფასების დონის მეოთხედი ფასები ჰქონდათ, ხოლო ყოველწლიური ზრდის შედეგად საბოლოოდ 2013 წელს მიაღწევენ ეკ-ის იმდროინდელი ფასების დონეს, რომელიც შესამჩნევად დაბალი იქნება.

**ეხმარება თუ არა ეკ სუსტ რეგიონებს?**

ეკ-ის ფულის მეორე დიდი ქისა რეგიონული და სტრუქტურული მხარდაჭერისთვის იხარჯება. ეხმარება რა ეკონომიკურად შედარებით სუსტ რეგიონებს, ეკ ხელს უწყობს ევროპის ერთიანობას. ევროპაში არ უნდა არსებობდეს მდიდარ და ღარიბ რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავება. დახმარებას იღებენ მაგალითად, შემდეგი რეგიონები: ანდალუზია – ესპანეთში, მეძოჯორნო – იტალიაში, პოლონეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, გერმანიის ახალი ფედერალური მიწები, ბურგენლანდი ავსტრიაში. წინადადებები იმის თაობაზე, თუ რა სახის დახმარებები უნდა გაიცეს, წევრ-ქვეყნებს შემოაქვთ.

**რომელ კვლევით დარგებს აფინანსებს ეკ?**

ეკ მხარს უჭერს მომავლის ტექნოლოგიებსაც, მაგალითად, ბიოტექნოლოგიას, რომელიც მცენარეთა ახალ ჯიშებს, სასურსათო პროდუქტებსა და წამლებს იკვლევს. ასევე, ეხმარება საინფორმაციო ტექნოლოგიებს, საჰაერო და კოსმოსური კვლევის განვითარებასა და ეკოლოგიურად სუფთა სამრეწველო პროდუქციის გამოშვებასა და დანერგვას. 2002 წლიდან 2006 წლამდე კვლევისა და განვითარების საქმეს დაახლოებით 17,5 მლრდ ევრო მოხმარდა. ევროკომისიის წინადადებით, 2007-2013 წლებში ამ მიზნით წელიწადში 10 მლრდ ევრო დაიხარჯება, რაც იქნება იმის წინაპირობა, რომ ეკ მომავალში გახდეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკურად განვითარებადი და არ გაუჭირდეს გლობალური კონკურენციის პირობებში თავის დამკვიდრება.

**ეკ-ის ბანკი**

პირდაპირი მხარდაჭერის გარდა, არსებობს ეკ-ის პროექტების დაფინანსების მეორე გზაც: ესაა ევროპის საინვესტიციო ბანკი (ესბ), საიდანაც ხელსაყრელი საპროცენტო პირობებით შესაძლებელია კრედიტის აღება. ბანკი ეხმარება ეკ-ის ეკონომიკურად სუსტ რეგიონებს, ხელს უწყობს სატრანსპორტო, სატელეფონო და ენერგიის სფეროების ტრანსევროპულ (საზღვრებს გარეთ) განვითარებას, ევროპის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის დონის ზრდას, ასევე გარემოს დაცვისა და ენერგიის გამომუშავების ევროპულ პროექტებს.

*ესბ-მ დააფინანსა იორეზუნდის ხიდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს კოპენჰაგენსა (დანია) და მალმიოს (შვედეთი).*








*საფრახტო (დაქირავებული) გემის დატვირთვა.*

**ბაზრების გახსნა**

სხვა ქვეყნებიდან შემოსული სამრეწველო პროდუქციის ბაზრები ეკ-მა ადრევე გახსნა. სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო ნაწარმის ბაზრის გახსნა ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას. ყველა სავაჭრო ქვეყანა ბაჟსა და ვაჭრობის წესებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესდების მიხედვით ადგენს.

# მსოფლიო ვაჭრობა და მომავალი

**რა როლს ასრულებს ეკ მსოფლიო ვაჭრობაში?**

ევროკავშირი მსოფლიოს უდიდესი სავაჭრო ძალაა. საერთაშორისო საქონელბრუნვაში მისი წილი დაახლოებით 20%-ს შეადგენს და აშშ-სა და იაპონიას უსწრებს. ევროპის კეთილდღეობის მთავარი წყარო ვაჭრობაა. იგი უზრუნველყოფს ყოველი მეოთხე მოქალაქის დასაქმებას ინდუსტრიაში, სატრანსპორტო სამსახურსა და კვლევით სამუშაოებზე, ბანკებსა და სადაზღვევო ორგანიზაციებში, ეკონომიკის სხვა მრავალ დარგში.

ეკ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან ვაჭრობს. ზოგიერთი პროდუქტი, მაგალითად, ნავთობი და ბანანი ეკ-სთვის უფრო ხელსაყრელია სხვა ქვეყნებიდან შემოიტანოს, ვიდრე თავად აწარმოოს. თავის მხრივ, ევროპა უამრავ ტექნიკურ ნაწარმს, მანქანებსა და ქიმიურ პროდუქციას ასაღებს ევროკავშირის საზღვრებს გარეთ. ექსპორტ-იმპორტის უმნიშვნელოვანესი პარტნიორები არიან აშშ, იაპონია და შვეიცარია. ევროპის საექსპორტო საქონელი გადის ასევე ნორვეგიაში, თურქეთსა და ჩინეთში. თავის მხრივ, ეკ-ს ბევრი საქონელი და ნედლეული შემოაქვს ჩინეთიდან, ნორვეგიიდან, რუსეთიდან, ტაივანიდან და სამხრეთ კორეიდან.



ეკ მხარს უჭერს აფრიკაში განათლების პროექტების განხორციელებას. იგი ლტოლვილებსა და ბუნებრივი კატასტროფების მსხვერპლებსაც ეხმარება.

### როგორ ეხმარება ეკ სხვა სახელმწიფოებს?

განვითარებადი ქვეყნებისთვის დახმარების გაცემის თვალსაზრისით, ეკ მსოფლიოში პირველ ადგილზეა. აქ მხოლოდ ფულადი დახმარება როდი იგულისხმება. იგი განვითარებად ქვეყნებს იმითაც უწყობს ხელს, რომ მათ შესაძლებლობა ეძლევათ, თავიანთი პროდუქცია ევროპაში საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ, რითაც ისინი თავად შოულობენ ფულს. ამ თვალსაზრისით, ეკ განსაკუთრებით თანამშრომლობს აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის 71 ქვეყანასთან, რომლებიც ეკ-თან დაკავშირებული არიან ლომეს ხელშეკრულებით. საუბარია ეკ-ის წევრ-ქვეყანათა ყოფილ კოლონიებზე, რომელთაც იგი განსაკუთრებით ეხმარება. ეკ ასევე გასცემს ხელსაყრელ კრედიტებს ეკონომიკური და სოციალური პროექტების განსახორციელებლად. საბაჟო შეღავათები აქვთ ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარე მეზობელ ევროპულ სახელმწიფოებსაც, რომლებიც იმავდროულად, იღებენ მრავლისმომცველ დახმარებას. ეკ-ის მიერ გაცემულ თანხებს ისინი იყენებენ სატრანსპორტო სისტემების, წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების დასაფინანსებლად, რაც საბოლოოდ, მათი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზეა გათვლილი. ეკ მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროექტებსაც, რათა უმუშევრობა შეამცირონ. ადამიანებს უნდა მიეცეთ შანსი, მშვიდად იცხოვრონ თავიანთ სამშობლოში და იძულებულნი არ გახდნენ უცხო ქვეყანაში ეძიონ ბედი. ეკონომიკური დახმარებები და ხელსაყრელი საბაჟო გადასახადები მოქმედებს სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის დამეგობრებული ქვეყნებისთვისაც. მათ შორის არიან წევრობის კანდიდატები — ბულგარეთი, რუმინეთი და ხორვატია. მომავალში ეკ-ის შიდა ბაზარში ყველა მეზობელი ევროპული სახელმწიფო მიიღებს მონაწილეობას, რითაც ეკ თავის საზღვრებს გარეთაც ხელს შეუწყობს დემოკრატიისა და საჯაროობის განვითარებას.




ევროპა მსოფლიოში

### როგორი იქნება ეკ მომავალში?

რუმინეთის, ბულგარეთისა და თურქეთის გარდა, რომლებიც ეკ-ში მიღების კანდიდატები არიან, 2005 წელს მიღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები გაიმართა ხორვატიასთანაც. ეკ-ში შესვლას მშვიდობისა და დემოკრატიის უზრუნველყოფისა და ეკონომიკის განვითარების პირობად მიიჩნევენ ყოფილი იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირში შემავალი სახელმწიფოებიც. 2004 წელს სახელმწიფოების მთავრობების მეთაურებმა მიიღეს ეკ-ის ახალი კონსტიტუცია, რომელიც გააძლიერებს გაფართოებული ეკ-ის ქმედითუნარიანობას და უზრუნველყოფს სამართლებრივი და საშინაო პოლიტიკის სფეროებში გადაწყვეტილებების ხმათა უმრავლესობით მიღებას. იმისათვის, რომ ეკ-ის კონსტიტუ-



**გაფართოება**

ევროპამ წარსულში უკვე დაამტკიცა, რომ შესწევს თანამშრომლობის უნარი და მიღწეული წარმატებებით მსოფლიოს სამრეწველო კავშირების მისაბაძ მაგალითად იქცა. ჯერ კიდევ საკითხავია, რამდენად მიაღწევს მსგავს წარმატებებს 27 ან მეტი ქვეყნისგან შემდგარი გაერთიანება. თუმცა, როგორც ეკ-ის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ჟან მონემ თქვა: „ერების სუვერენული არსებობა უკვე წარსულში დარჩა და თანამედროვეობის პრობლემების გადაჭრის საყრდენად აღარ გამოდგება. თავად გაერთიანებაც კი მხოლოდ გარდამავალი ეტაპია მომავლის მსოფლიოს ორგანიზაციული ფორმის ჩამოყალიბების გზაზე."

*ასე გამოიყურება ევრო-პის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა მისი გაფართოებისა და წევრობის კანდიდატების - რუმინეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლებთან ერთად. თითოეული ქვეყნის ხმების რაოდე-ნობა მისი მოქალაქეე-ბის რაოდენობაზეა დამოკიდებული. ასევე ყურადღება ექცევა პოლიტიკურ გაწონას-წორებულობას. ევროსაბჭო ეკ-ის სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს შემდეგ ეკ-ში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვე-ტილებებს იღებს.*




**ევროპის 27 წევრის მინისტრთა საბჭო:**

**ძირითადი უფლებები**
თავისუფლება, თანასწო-რობა, სოლიდარობა და სამოქალაქო უფლებები ძირითადი უფლებების ევროპის ქარტიის ქვა-კუთხედია. ისინი ახალი ევროპული კონსტიტუციის ნაწილია. ქარტია ადგენს ადამიანის ღირსების, სი-ცოცხლის (სიკვდილით დასჯის აკრძალვა), ფი-ქრის, სინდისისა და რელი-გიური აღმსარებლობის თავისუფლებას, ასევე, აზ-რის თავისუფლად გამ-ოთქმის უფლებას, განათ-ლების, დასაქმების, ბავშვ-ების ექსპლოატაციის აკრ-ძალვის, არჩევანისა და სხვა სამოქალაქო უფლებებს.

ცია ძალაში შევიდეს, საჭიროა მას წევრ-სახელმწიფოთა პარლამენტებმა მისცენ ხმა და მოქალაქეთა სახალხო რეფერენდუმმა დაუჭიროს მხარი. იმის გამო, რომ ეკ-ის კონსტიტუცია წევრ-სახელმწიფოთა ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენლებისა და პარლამენტარების მონაწილეობით შემუშავდა, გაიზარდა ევროპარლამენტის უფლებები, გაფართოვდა ეროვნული პარლამენტების ერთობლივი საქმიანობა, რაც იმის საწინდარია, რომ მას ყველა წევრი-სახელმწიფოსგან ექნება მხარდაჭერა. ეკ-ის ზოგიერთ ქვეყანას შესაძლებლობა ეძლევა, გახდეს მომავალი თანამშრომლობის გზამკვლევი, როგორც ეს სავალუტო კავშირის შექმნისას იყო. დანარჩენი სახელმწიფოები მათ მოგვიანებით შეუერთდებიან. ეკ-ის ახალი კონსტიტუცია ზუსტად არეგულირებს იმ შემთხვევასაც, თუ რომელიმე წევრი-ქვეყანა ეკ-დან გასვლის სურვილს გამოთქვამს.

**რა შესაძლებლობები იქმნება ეკ-ის გაფართოებით?**

აღმოსავლეთისკენ გაფართოებით ევროპამ დაიბრუნა თავისი ერთიანობა: დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ერთ დროს არსებული უფსკრული უკვე დაძლეულია, დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა ახლად მიღებულ ქვეყნებშიც სტაბილურად იკიდებს ფეხს. ეკ-ში შესვლით აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მოქალაქეები უკეთესი მომავლის პერსპექტივებს ხედავენ. საქმიანი ადამიანები თავიანთი პროდუქციის ახალ მყიდველებს პოულობენ. ახალი წევრები ერთმანეთს ეჯიბრებიან საუკეთესო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში და ამით ეკ-ს საერთაშორისო შესაძლებლობებს აფართოებენ, რაც დადებითად მოქმედებს ეკონომიკაზე, 25-ვე წევრი-ქვეყნის მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების რაოდენობასა და კეთილდღეობის დონეზე. მსოფლიო კონკურენციაში ეკ ხელსაყრელ პოზიციას არსებითად უნდა უმადლოდეს: საკუთარ ინფრასტრუქტურას (სატრანსპორტო ქსელი, ენერგიით მომარაგება, ტელეკომუნიკაციები და განათლება), რომელიც მთელ მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება, ასევე ევროპის ტექნოლოგიურ ცოდნასა და შესაძლებლობებს; უკვე 50 წელზე მეტ ხანს გამეფებულ მშვიდობასა და პოლიტიკურ სტაბილურობას, რომელიც ევროპის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის შედეგად იქნა მიღწეული.



*უნგრეთი იმ ქვეყნების რიცხვში შედის, რომლებიც 2004 წელს გაერთიანდნენ ეკ-ში.*

# ევროპის მოწყობა

ეკ-ის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს წევრი-ქვეყნების სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურები ანუ ეკ-ის სახელმწიფოების მოსახლეობის მიერ არჩეული მთავრობები იღებენ. ევროპის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ანუ 18 წლისა და მეტი ასაკის ყველა მოქალაქე, თავიანთი მთავრობების სახით, მონაწილეობს ამ პროცესებში და მათზე დიდ გავლენას ახდენს.

**შეუძლიათ თუ არა ეკ-ის მოქალაქეებს აზრის გამოთქმა?**

ევროკავშირის ძირითადი მიმართულებები და დადგენილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში შევა ძალაში, თუკი მას მხარს ევროპარლამენტი დაუჭერს. ეკ-ის კომისიის შემადგენლობა და საქმიანობა ევროპარლამენტმა უნდა დაადასტუროს. აქედან გამომდინარე, მოქალაქეები ევროპის დეპუტატების არჩევით პირდაპირ გავლენას ახდენენ ეკ-ის პოლიტიკაზე.




ნებისმიერ ადამიანს შეუძლია რაიმე პრობლემასთან დაკავშირებით საჩივარი ან პეტიცია წარადგინოს. ევროპის მოქალაქეთა ნდობით აღჭურვილი პირი შეისწავლის შემოსულ წინადადებებსა და საჩივრებს.



*ევროპარლამენტის წევრები ეკ-ის მოქალაქეთა ინტერესებს იცავენ. სურათზე: დეპუტატი გერმანიიდან დოქტ. ანგელიკა ნიბლერი სტრასბურგში ახალგაზრდებს ესაუბრება.*

ასევე, შესაძლებელია ინფორმაციის მიღება და საკუთარი აზრის გამოთქმა. ევროპის ყველა ოფიციალური ორგანო მზადაა მოქალაქეთა კითხვებსა და ინიციატივებს უპასუხოს.

**რა პროექტები არსებობს ევროპის ახალგაზრდებისთვის?**

ევროპა ახალგაზრდებს მრავალ საინტერესო ღონისძიებას სთავაზობს. სკოლებში გამართულ საპროექტო კვირეულებზე განიხილავენ აქტუალურ საკითხებს, ქალაქებსა და თემებში ეწყობა კულტურის დღეები. გაცვლითი პროექტებისა და კლასების შეხვედრების საშუალებით ახალგაზრდები ახლოს ეცნობიან ეკ-ის სახელმწიფოებსა და წევრობის კანდიდატებს. იმავდროულად შესაძლებელი ხდება ერთობლივი პროექტების განხორციელება. ურთიერთობის კარგი შესაძლებლობაა ინტერნაციონალური ბანაკები, კულტურული შეხვედრები თუ სპორტული ღონისძიებები. 18-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შეუძლიათ ევროპის რომელიმე ქვეყანაში ერთობლივ ურთიერთხელსაყრელ პროექტებზე იმუშაონ. შრომითი ბანაკების პროექტები მრავალფეროვანია და გულისხმობს გლეხის ისტორიული კარ-მიდამოს აღდგენას იტალიაში, მონასტრის სარემონტო სამუშაოებს უნგრეთში, თანამშრომლობას ფინეთის ბავშვთა სახლთან, გარემოს დაცვის ღონისძიებებს და სხვ.

**ინტერნეტის მისამართები**

ეკ-ის შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარი გვერდია: europa.eu.int. აქ შესაძლებელია აქტუალური მოვლენების, საკანონმდებლო დადგენილებების, პოლიტიკის, ფოტო და აუდიოდოკუმენტების, საკონტაქტო მისამართებისა და უამრავი სხვა ინფორმაციის მოძიება. ევროპის მთავარი ახალგაზრდული გვერდი მისამართზე: europa.eu.int/youth/index.de.html გვთავაზობს ინფორმაციებს, ონლაინ-გამოკითხვებს, ცნობებს სხვადასხვა ღონისძიებებისა და გაცვლითი პროექტების, მოხალისეთა სამუშაოს, შრომითი ბანაკების შესახებ; ევროსთან დაკავშირებულ ინფორმაციებსა და რჩევებს. www.eyp.de. - ყველაფერი ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის შესახებ.

**ახალგაზრდული პარლამენტი**

წელიწადში სამჯერ, ევროპის სხვადასხვა ქალაქში მთელი ევროპიდან იკრიბება მოსწავლეთა დელეგაციები. ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის ცხრადღიანი სხდომების მონაწილეები ქმნიან მულტიკულტურულ კომისიებს, სადაც შეიმუშავებენ რეზოლუციებს პოლიტიკურ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა და სოციალური პოლიტიკა.

**ალბანეთი**
ფართობი – 28 748კმ$^2$,
მოსახლეობა – 3 150 000,
დედაქალაქი – ტირანა,
სახელმწიფო ენა – ალბანური, ვალუტა – ლეკი.



(AL)



*ალბანეთის დედაქალაქ ტირანას ღირსშესანიშნაობაა სკანდერბეგის მოედანი ეთემ ბეის მეჩეთით. ალაჰის სახლის მინარეთიდან მუეძინი დღეში ხუთჯერ მოუწოდებს მორწმუნეებს ლოცვისკენ.*

**ანდორა**
ფართობი – 467კმ$^2$,
მოსახლეობა – 68 000,
დედაქალაქი – ანდორა ლა ველა, სახელმწიფო ენა – კატალონიური, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე ფრანგული ფრანკი, პესეტა.



(AND)



*ანდორა ევროპაში ყველაზე მაღლა, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მდებარეობს, საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. პირენეებში ჯიხვები და არწივები ბინადრობენ. შველებს მგლის კვალდაკვალ და ჰაერში მოლივლივე მთის არწივს შენიშნავთ.*

**ბელგია**
ფართობი – 32545კმ$^2$,
მოსახლეობა – 10333000,
დედაქალაქი – ბრიუსელი,
სახელმწიფო ენა – ფლამანდრიული, ფრანგული, გერმანული, ვალუტა – ევრო, 2002წ-მდე – ბელგიური ფრანკი.



(B)



*ბრიუსელის ყველაზე პოპულარული სიმბოლოა პატარა ბიჭუნას ქანდაკება, რომელიც შარდავს. მედრუენის ამ ფიგურას განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვადასხვა სამოსით შემოსავენ ხოლმე, მაგალითად, ყოველწლიურად ელვის პრესლის გარდაცვალების დღეს მას როკენ-როლის მეფის ტანსაცმელში გამოაწყობენ. ბიჭუნას რამდენიმე ასეული კოსტიუმის შესანახად მუზეუმიც კი არსებობს.*

**ბოსნია-ჰერცეგოვინა**
ფართობი – 51129კმ$^2$,
მოსახლეობა – 4112000,
დედაქალაქი – სარაევო,
სახელმწიფო ენა – ბოსნიური, ხორვატიული, სერბიული,
ვალუტა – კონვერტირებადი მარკა.



(BIH)



*ბოსნია-ჰერცეგოვინაში უამრავი წიაღისეული მოიპოვება, მაგ. ბოქსიტი. ამ მადნიდან ალუმინს იღებენ. 1992-1995 წლების სამოქალაქო ომის შედეგად ყოფილი იუგოსლავიის ინდუსტრიული ნაგებობების უმეტესობა დაინგრა.*

**ბულგარეთი**
ფართობი – 110994კმ$^2$,
მოსახლეობა – 7965000,
დედაქალაქი – სოფია, სახელმწიფო ენა – ბულგარული, ვალუტა – ლევი.



(BG)

*ბულგარეთში აწარმოებენ ვარდის ზეთს, რომელიც პარფიუმერიაში გამოიყენება. ყვავილები მზის ამოსვლამდე უნდა მოიკრიფოს, რადგან მაღალ ტემპერატურაზე ზეთის შემცველობა იკლებს. 1 კგ ძვირფასი ზეთის მისაღებად 3000 კგ ვარდის ყვავილს კრეფენ.*



**დანია**
ფართობი – 43096კმ$^2$,
მოსახლეობა – 5374000,
დედაქალაქი – კოპენჰაგენი, სახელმწიფო ენა – დანიური, ვალუტა – დანიური კრონა.



(DK)



*„პრინცესა ცერცვის მარცვალზე" და „მეფის ახალი სამოსელი" ამ 150 ზღაპრის რიცხვში შედის, რომლებიც დანიელმა მწერალმა ჰანს ქრისტიან ანდერსენმა დაწერა. ისინი 80-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი. კოპენჰაგენში დგას პატარა ქალთევზის ქანდაკება, რომელიც ანდერსენის ამავე სახელწოდების ზღაპრის სიმბოლოა.*

**გერმანია**
ფართობი – 357027კმ$^2$,
მოსახლეობა – 82495000,
დედაქალაქი – ბერლინი,
სახელმწიფო ენა – გერმანული, ვალუტა – ევრო,
2002 წლამდე – გერმანული მარკა.



(D)



*ბერლინში აღმართული ბრანდენბურგის კარიბჭე გერმანელი ერის გაყოფისა და ამის მიუხედავად მისი ერთიანობის სიმბოლოა. 200 წლის კარიბჭის შესასვლელი თითქმის ნახევარი საუკუნე ჩაკეტილი იყო. განსაკუთრებულ დღესასწაულებზე დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინის მცხოვრებნი და სტუმრები სწორედ დედაქალაქის სიმბოლოს თაღებქვეშ იკრიბებიან.*

ლეგოლანდი ბილუნდში, დანია



გერმანელმა ძმებმა გრიმებმა უამრავი ზღაპარი შეაგროვეს.



რილას მონასტერი ბულგარეთში



**ესტონეთი**
ფართობი – 45227კმ$^2$, მოსახლეობა – 1358000, დედაქალაქი – ტალინი, სახელმწიფო ენა – ესტონური, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე – ესტონური კრონა.



EST

ესტონეთი. „წრიალა ხმების ქვეყანა". ხალხური პოეზიისა და სიმღერების ასწლოვან ტრადიციას ფლობს. ესტონელები თაობიდან თაობას გადასცემდნენ სიმღერებსა და ლეგენდებს და მათთან ერთად საკუთარ ენასა და კულტურას.



**ფინეთი**
ფართობი – 338144კმ$^2$, მოსახლეობა – 5199000, დედაქალაქი – ჰელსინკი, სახელმწიფო ენა – ფინური, შვედური, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე – ფინური მარკა.



FIN

საუნა ყველა ფინურ სახლში გვხვდება. საუნის სტუმრები ბანაობენ და იძლიერებენ იმუნიტეტს. 10 წუთის განმავლობაში ოფლის მოდენის შემდეგ გარეთ გამოდიან და სხეულს კვლავ ივრილებენ. ფინელები ტრადიციულად წყალში შედიან ან ტანს თოვლით იზელენ.



**საფრანგეთი**
ფართობი – 543965კმ$^2$, მოსახლეობა – 59485000, სახელმწიფო ენა – ფრანგული, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე – ფრანგული ფრანკი.



F



324 მეტრი სიმაღლის ეიფელის კოშკი პარიზში 1889 წელს აღმართეს. იგი თავისი არქიტექტორის - ეიფელის სახელს ატარებს. დღეისათვის ქალაქის სიმბოლოდ ქცეული კოშკი თავიდან გაცხარებული დავის საგანი იყო. პარიზელებს ეშინოდათ, რომ იგი წაიქცეოდა. ფოლადის 15000 ნაწილისა და 2,5 მლნ. მოქლონისაგან აგებულ კოშკს ყოველდღიურად დაახლ. 5000 ადამიანი სტუმრობს.

**საბერძნეთი**
ფართობი – 131957კმ$^2$, მოსახლეობა – 10631000, დედაქალაქი – ათენი, სახელმწიფო ენა – ბერძნული, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე – დრაქმა.



GR

ათენის აკროპოლისი ანტიკურ ხანაში ბორცვზე ავეს და სიტყვა-სიტყვით "მაღალ ქალაქს" ნიშნავს. თავდაპირველად იგი მტრის თავდასხმის დროს მოსახლეობის თავშესაფრის როლს ასრულებდა. 72 მეტრი სიმაღლის სვეტებიანი შთამბეჭდავი ნანგრევები ქრისტეშობამდე V ს-ში აგებული პართენონის ქალღმერთ ათენას ტაძრის ნაშთია.



**ირლანდია**
ფართობი – 70273კმ$^2$, მოსახლეობა – 3920000, დედაქალაქი – დუბლინი, სახელმწიფო ენები – ირლანდიური, ინგლისური, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე – ირლანდიური ფუნტი.



IRL

ირლანდიური მუსიკის ტრადიციული ინსტრუმენტია კელტური არფა. მასზე კელტები ჯერ კიდევ VI ს-ში უკრავდნენ. ბარდები არფაზე მღეროდნენ თქმულებებს, მითებსა და სხვადასხვა ისტორიებს.



**ისლანდია**
ფართობი – 103000კმ$^2$, მოსახლეობა – 284000, დედაქალაქი – რეიკიავიკი, სახელმწიფო ენა – ისლანდიური, ვალუტა – ისლანდიური კრონა.



IS



ისლანდია კონტრასტების კუნძულია. აქ ერთმანეთს ენაცვლება ყინული და ცეცხლი. მსოფლიოს ყველაზე დიდი ვულკანური კუნძული ცნობილია თავისი ცხელი წყაროებით, რომლებიც მიწიდან ამოჩუხჩუხებს. ეს გეიზერები ვულკანური ენერგიით გაცხელებული მიწის ზედაპირთან ახლოს მდებარე გრუნტის წყლებიდან წარმოიშვება.

**იტალია**
ფართობი – 301336კმ2, მოსახლეობა – 57690000, დედაქალაქი – რომი, სახელმწიფო ენა – იტალიური, ზოგ რეგიონში – გერმანული, ფრანგული, სლოვენური, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე – ლირა.



I

იტალიის ქალაქი ვენეცია ერთმანეთთან ახლოს განლაგებულ 118 კუნძულზეა გაშენებული. ქალაქის უბნებს 400-ზე მეტი ხიდი აკავშირებს. ვისაც ძალიან ეჩქარება, შეუძლია ნავი იქირაოს. სახელგანთქმული გონდოლები თანდათან სწრაფმა მოტორიანმა ნავებმა შეცვალა.



ესტონური ფოცხვერები



გოდაფოსის ჩანჩქერი ისლანდიაში.



რომის კოლიზეუმი



**ხორვატია**
ფართობი – 56542კმ²,
მოსახლეობა – 4465000,
დედაქალაქი – ზაგრები,
სახელმწიფო ენა – ხორვატიული, ვალუტა – კუნა.



(HR)

60 მეტრი სიღრმის ბერდინის მღვიმეში კარსტულ წყლებში ცხოვრობს მღვიმის მაქცი, რომელიც აოცებს მნახველებს. ეს უნიკალური ცხოველი სალამანდრების ჯგუფს მიეკუთვნება და მიწისქვეშ ცხოვრებისა და გარეგნობის გამო ადრე ურჩხულის შვილად მიაჩნდათ.



**ლატვია**
ფართობი – 64589კმ²,
მოსახლეობა – 2338000,
დედაქალაქი – რიგა,
სახელმწიფო ენა – ლატვიური, ვალუტა – ლატი.



(LV)



ქარვა მილიონი წლების წინ გაქვავებული წიწვოვანი ხეების ფისისგან წარმოიქმნა. ლატვიაში ბალტიის ზღვის სანაპიროზე არის ე.წ. ქარვის კონცხი, სადაც ქარვა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოიპოვება. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთსა და რომის იმპერიაში ქარვა ლატვიიდან გაჰქონდათ და მას გასაცვლელ საშუალებად იყენებდნენ. ხანდახან იგი ოქროზე ძვირად ფასობდა.

**ლიხტენშტაინი**
ფართობი – 160კმ²,
მოსახლეობა – 32800,
დედაქალაქი – ვადუცი,
სახელმწიფო ენა – გერმანული, ვალუტა – შვეიცარული ფრანკი.



(FL)



ქალაქ ვადუცის თავზე, მთაზე შეფენილ ტყეში მდებარეობს ვადუცის ციხე-კოშკი, რომელიც ლიხტენშტაინის სიმბოლოა. 1938 წლიდან ეს ცნობილი ნაგებობა ქვეყნის მთავრის საცხოვრებელია. ფილატელისტები განსაკუთრებით აფასებენ საფოსტო მარკებს მისი გამოსახულებით.

**ლიტვა**
ფართობი – 65301კმ²,
მოსახლეობა – 3469000,
დედაქალაქი – ვილნიუსი,
სახელმწიფო ენა – ლიტვური,
ვალუტა – ლიტასი.



(LT)



ლიტვის ნაყოფიერი სახნავები მშვენიერი წინაპირობაა მეცხოველეობის განვითარებისთვის. აქ ბალტიისპირა ქვეყნებში რძის იმდენ პროდუქტს აწარმოებენ, რომ ექსპორტის უდიდეს ნაწილს სწორედ ის შეადგენს.

**ლუქსემბურგი**
ფართობი – 2586კმ²,
მოსახლეობა – 444000,
დედაქალაქი – ლუქსემბურგი,
სახელმწიფო ენა – ლუქსემბურგული, გერმანული, ფრანგული, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე – ლუქსემბურგული ფრანკი.



(L)

ქალაქ კლერვოს თავზე შემორჩენილია ბენედიქტელი მამების სააბატო, რომელიც წმიდა მავრიციუსის სახელობისაა. მნახველებს გამოფენის დიორამებისა და ბერების ცხოვრების გაცნობის საშუალება ეძლევათ.



**მალტა**
ფართობი – 315,6კმ²,
მოსახლეობა – 397000,
დედაქალაქი – ვალეტა,
სახელმწიფო ენები – მალტური, ინგლისური, ვალუტა – მალტური ლირა.



(M)

კუნძულ-სახელმწიფო მალტის მთავარი კუნძულებია მალტა, გოცო და კომინო. მალტელი მეთევზეები თავიანთ ფერად-ფერადი ნავებით ლუცცუსებით განსაკუთრებით ლამაზად მოჩანან ღრმად შეჭრილი კონცხის სიღრმეში.



უსპენსკის საკათედრო ტაძარი ჰელსინკში



ადოლფის ხიდი ლუქსემბურგში






პარიზის ტრიუმფალური თაღი



პინოქიოს თავგადასავალი იტალიაში იშვა.



**მაკედონია**
ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა
ფართობი — 25713კმ$^2$,
მოსახლეობა — 2038000,
დედაქალაქი — სკოპიე,
სახელმწიფო ენები — მაკედონიური, ალბანური,
ვალუტა — დინარი.



MK

მაკედონიაში ცხელი და მშრალი ზაფხული იცის. მიწათმოქმედების განვითარებისთვის პელაგონიის პლატოს ხელოვნურად რწყავენ. აქ მოჰყავთ თამბაქო, ხორბალი, ბრინჯი, ბამბა და ყურძენი.



**მოლდოვა**
ფართობი — 33800კმ$^2$,
მოსახლეობა — 4255000,
დედაქალაქი — კიშინიოვი,
სახელმწიფო ენა — მოლდავური, ვალუტა — მოლდავური ლეი.



MD

ხელსაყრელი კლიმატისა და ნაყოფიერი ნიადაგის გამო მოლდოვაში სოფლის მეურნეობას მისდევენ. ხილის პლანტაციებისა და ვენახების გვერდით ზაფხულის მიწურულს მზესუმზირის კაშკაშა ყვავილებსაც ხშირად შეხვდებით.



**მონაკო**
ფართობი — 1,95კმ$^2$,
მოსახლეობა — 32000,
დედაქალაქი — მონაკო ვილი,
სახელმწიფო ენა — ფრანგული, ვალუტა — ევრო, 2002 წლამდე - ფრანგული ფრანკი



MC

მონაკოში არსებული საგადასახადო სამოთხე უამრავ ფირმასა და საქმიან ადამიანს იზიდავს ლაჟვარდოვან სანაპიროზე. ამის გამო პატარა სათავადო თავის მოსახლეობას მრავალსართულიან სახლებშიღა თუ დატევს. აქ ყოველწლიურად იმართება ფორმულა 1-ის მსოფლიო რბოლები „მონტე კარლოს დიდი პრიზის" მოსაპოვებლად.



**ჰოლანდია**
ფართობი — 411326კმ$^2$
მოსახლეობა — 16144000,
დედაქალაქი — ამსტერდამი,
სახელმწიფო ენა — ჰოლანდიური, ზოგ რეგიონში — ფრიზიული, ვალუტა — ევრო,
2002 წლამდე — გულდენი.



NL

ჰოლანდია ზღვის დონიდან ისე დაბლა მდებარეობს, რომ ჯებირების გარეშე მის უმეტეს ნაწილს ზღვა დაფარავდა. ქარის წისქვილები ადრე წყლის ტუმბოებადაც გამოიყენებოდა, რათა მიწიდან ზედმეტი წყალი მოეცილებინათ.



**ნორვეგია**
ფართობი — 323759კმ$^2$,
მოსახლეობა — 4538000,
დედაქალაქი — ოსლო,
სახელმწიფო ენა — ნორვეგიული, ვალუტა — ნორვეგიული კრონა.



N

ნორვეგია ვიკინგების სამშობლოა. IX ს-დან XI ს-მდე ჩრდილოელი მოგზაურები და აღმომჩენები ევროპის სავაჭრო გზების დიდ ნაწილს აკონტროლებდნენ. თავისი მკვიდრად ნაგები გემებით ისინი თავისუფლად სერავდნენ ზღვის უზარმაზარ სივრცეს.



**ავსტრია**
ფართობი — 83871კმ$^2$,
მოსახლეობა — 8048000,
დედაქალაქი — ვენა, სახელმწიფო ენა — გერმანული, ზოგ რეგიონში — სლოვენური, ხორვატიული, უნგრული, ვალუტა — ევრო, 2002წ-მდე — ავსტრიული შილინგი.



A

მსოფლიოს უძველესი საცხენოსნო სკოლა, სადაც კლასიკურ ცხენოსნობას ასწავლიან, ვენაში მდებარეობს. ესაა ესპანური სამეფო საცხენოსნო სკოლა. ესპანური იმიტომ ეწოდება, რომ ადრე აქ ესპანური ჯიშის ცხენებს წვრთნიდნენ. ცნობილი ლიპიცური ულაყების სამშობლო კი სლოვენიაა, ლიპიცა.



**პოლონეთი**
ფართობი — 312685კმ$^2$,
მოსახლეობა — 38626000,
დედაქალაქი — ვარშავა,
სახელმწიფო ენა — პოლონური, ვალუტა — ზლოტი.



PL

ნოგატზე მდებარე 700 წელზე მეტი ხნის მარიენბურგი მეორე მსოფლიო ომის დროს თითქმის მთლიანად დაინგრა და ხელახლა აღადგინეს. შუა საუკუნეების ევროპის ეს უდიდესი სიმაგრე მსოფლიო კულტურის მემკვიდრეობის ნაწილადაა მიჩნეული.



შვედმა ასტრიდ ლინდგრენმა უამრავი შესანიშნავი საბავშვო წიგნი დაწერა.



ბელემის კოშკი ლისაბონის ნავსადგურში

**პორტუგალია**
ფართობი – 92345კმ², მოსახლეობა – 10177000, დედაქალაქი – ლისაბონი, სახელმწიფო ენა – პორტუგალიური, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე – ესკუდო.

P



პორტუგალიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელია კორპის ხის ქერქი, რომლისგანაც ბოთლის საცობებს, იატაკებსა და საიზოლაციო მასალებს ამზადებენ. კორპის ხეები აქ განსაკუთრებით კარგად ხარობს. ყოველ 10-20 წელიწადში ერთხელ ხეებს ფრთხილად აცლიან კორპის დანაოჭებულ ფენას.

**რუმინეთი**
ფართობი – 238391კმ², მოსახლეობა – 22300000, დედაქალაქი – ბუქარესტი, სახელმწიფო ენა – რუმინული, ვალუტა – ლეი.

RO



რუმინეთის პროვინცია ზიბენბიურგენს ძველი სახელით ტრანსილვანიით უფრო იცნობენ. ამ რეგიონმა პოპულარობა მოიხვეჭა გრაფ დრაკულას შესახებ საშინელი თქმულებებით. ამ პერსონაჟის პროტოტიპა-ზე სახელით გრაფი ვლად ტეპეში. იგი ამ რეგიონში 1431-1435 წლებში ბატონობდა.

**რუსეთის ფედერაცია**
ფართობი – 17075400კმ², მოსახლეობა – 144071000, სახელმწიფო ენა – რუსული, ვალუტა – რუბლი.

RUS



მოსკოვში, წითელ მოედანთან სულ რაღაც 5 წელიწადში (1555-1560) ივანე IV მრისხანემ ვასილი ნეტარის ტაძარი ააგებინა. ყურადღებას იპყრობს რუსული ეკლესიებისთვის დამახასიათებელი გუმბათები, რომლებიც სხვადასხვა ფერისაა.

**სან მარინო**
ფართობი – 60,5კმ², მოსახლეობა – 27700, სახელმწიფო ენა – იტალიური, ვალუტა – ევრო, 2004 წლამდე – ლირა.

RSM



743 მეტრი სიმაღლის მონტე ტიტანო თავს დასცქერის გარშემო მდებარე მთიანეთს. კირქის კლდეზე გაშენებულმა ქალაქ-ციხესიმაგრემ პატარა ქალაქ-სახელმწიფოს დამოუკიდებლობა მშვიდობიანად შეინარჩუნა. 1897 წლიდან სან მარინო იტალიის მფარველობის ქვეშ იმყოფება.

**შვედეთი**
ფართობი – 449964კმ², მოსახლეობა – 8924000, დედაქალაქი – სტოკჰოლმი, სახელმწიფო ენა – შვედური, ვალუტა – შვედური კრონა.

S



შვედეთი ყურადღებას იქცევს საგზაო ნიშნით, რომელიც ლოსების შეჯახების საფრთხეზე მიუთითებს. ეს საგზაო ნიშანი ისეთი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებს შორის, რომ მას ხშირად ყიდულობენ.

**შვეიცარია**
ფართობი – 41285კმ², მოსახლეობა – 7290000, დედაქალაქი – ბერნი, სახელმწიფო ენები – გერმანული, ფრანგული, იტალიური, რეტორომანული, ვალუტა – შვეიცარიული ფრანკი.

CH



ვალისის ალპებში მდებარე პირამიდის ფორმის მატერჰორნი ყველა მხრიდან მყინვარებითაა დაფარული. წითელ ფონზე გამოსახულ თეთრ ჯვართან ერთად ეს 1178 მეტრი სიმაღლის მთა თავის დამახასიათებელი ფორმით შვეიცარიის სიმბოლოდ გადაიქცა.




ნორვეგიული ირემი

ჰოლანდიური ყველი

სახელგანთქმული ეშმაკის ბორბალი ვენაში, გართობის პარკ პრატერში.

სკოპიეს კათედრალი, მაკედონია

**სერბია და მონტენეგრო**
ფართობი – 102173კმ²,
მოსახლეობა – 8160000,
დედაქალაქი – ბელგრადი,
სახელმწიფო ენა – სერბიული,
ვალუტა – ახალი დინარი (სერბეთი), ევრო (მონტენეგრო).

SCG

*თეთრად მოქათქათე დინარის მთიანეთი წარმოიშვა კირქვისგან, რომელიც ნახშირორჟანგისა და წყლის ნაერთის წყალობით კარსტად იქცა. სწორედ ამ შთამბეჭდავი პეიზაჟის ფონზე გათამაშდა ვინეტუზე გადაღებული ფილმების სცენები.*



**სლოვაკეთის რესპუბლიკა**
ფართობი – 49034მკ²,
მოსახლეობა – 5379000,
დედაქალაქი – ბრატისლავა,
სახელმწიფო ენა – სლოვაკური, ზოგ რეგიონში – უნგრული, ვალუტა – სლოვაკური კრონა.

SK

*ქვეყნის დედაქალაქისა და დუნაის ნაპირზე ბორცვზე გაშენებული ციხესიმაგრის გერმანული სახელი პრესბურგია. შუა საუკუნეების სიმაგრე თავისი ოთხი კოშკით სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნულ ძეგლთა სიაში შედის.*



**სლოვენია**
ფართობი – 20253კმ²,
მოსახლეობა – 1964000,
დედაქალაქი – ლიუბლიანა,
სახელმწიფო ენა – სლოვენიური, ვალუტა – ტოლარი.

SLO

*ლიუბლიანას დამახასიათებელ ნიშნად, გარდა შადრევნის დრაკონისა, შლოსბერგის გარშემო წრიულად გაშენებული ქალაქის ძველი ნაწილიც იქცა. ბაროკოს სტილის უამრავი ნაგებობა ქალაქის ისტორიულ სახეს წარმოადგენს. მის თანამედროვე იერსახეს კი, უპირველესად მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული 35 000 სტუდენტი ქმნის.*



**ესპანეთი**
ფართობი – 504782კმ²,
მოსახლეობა – 40917000,
დედაქალაქი – მადრიდი,
სახელმწიფო ენა – ესპანური, ზოგ რეგიონში – კატალონიური, გალიციური, ბასკური, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე – პესეტა.

E

*გიტარისა და კასტანიეტების ცეცხლოვანი რიტმები, მოფრიალე კაბები და ფლამენკოს ხალხური საცეკვაო მუსიკის ელემენტებია. ეს მეტყველი ცეკვა ანდალუზიური ფოლკლორის მარგალიტია.*



**ჩეხეთი**
ფართობი – 78866კმ²,
მოსახლეობა – 10210000,
დედაქალაქი – პრაღა,
სახელმწიფო ენა – ჩეხური, ვალუტა – ჩეხური კრონა.

CZ

*ჩეხეთის რესპუბლიკის ტყიან რეგიონებში ჯერ კიდევ XV ს-ში არსებობდა მინის დამამზადებელი საამქროები. ბოჰემური ბროლი წარმოადგენს მინას, რომელსაც კვარცის ქვიშის, კირქვისა და პოტაშისაგან ამზადებენ. ეს მასალა ძნელად დნება და განსაკუთრებით კარგია ფაქიზი ნაკეთობების დასამზადებლად და მოსართავად.*



**თურქეთი**
ფართობი – 779452კმ²,
მოსახლეობა – 69626000,
დედაქალაქი – ანკარა,
სახელმწიფო ენა – თურქული, ვალუტა – თურქული ლირა.

TR

*თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქალაქი ტროა ცნობილია თავისი ისტორიული გათხრებით. იგი ტროას ომის ადგილად ითვლება. ლეგენდის თანახმად, ბერძნებმა ქალაქში ხის ცხენი შეიტანეს, რომლის მუცელშიც მათი უმამაცესი მეომრები ისხდნენ. ამ საარაკო ცხენის ასლი პატარა ქალაქ კანაკალეს ახლოს დგას.*



ლონდონის პარლამენტისა და ბიგბენის შენობები

სახელგანთქმული (გამოგონილი) დეტექტივი შერლოკ ჰოლმსი ინგლისში საქმიანობდა.



**უკრაინა**
ფართობი – 603700მკ²,
მოსახლეობა – 48717000,
დედაქალაქი – კიევი,
სახელმწიფო ენა – უკრაინული, ვალუტა – გრივნა.

UA

*უკრაინის შავი ზღვის სანაპიროზე პელიკანების კოლონიები ცხოვრობენ. ფრინველები ერთად ნადირობენ: ფრთების დარტყმით თევზებს თავთხელზე გამოაგდებენ. თავიანთ დიდ ნისკარტებს ჩოგან-ბადესავით ხმარობენ და საკვებს წყლიდან ამოჰყავთ.*



**უნგრეთი**
ფართობი – 93030კმ², მოსახლეობა – 10159000, დედაქალაქი – ბუდაპეშტი, სახელმწიფო ენა – უნგრული, ვალუტა – ფორინტი.

უნგრელების ეროვნულ კერძს გულიაში ეწოდება და ნიშნავს "ძროხის ხორცი მწყემსურად". ამ ტრადიციულ კერძს უნგრეთში წვნიანის სახით ამზადებენ და არა ჩაშუშულს, როგორც სხვაგან.



H

**ვატიკანი**
ფართობი – 0,44კმ², მცხოვრები – 264, დედაქალაქი – ვატიკანი, სახელმწიფო ენა – ლათინური, იტალიური, ვალუტა – ევრო, 2002 წლამდე – ლირა.

რომის შუაგულში, ვატიკანის გორაზე მდებარეობს მსოფლიოს ყველაზე პატარა სახელმწიფო. მისი სახე წმ. პეტრეს 136 მეტრი სიმაღლის გუმბათიანი ტაძარი, რომლის გვერდით, ვატიკანის სასახლეში პაპის რეზიდენციაა.



V

**დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის გაერთიანებული სამეფო**
ფართობი – 242910კმ², მოსახლეობა – 59229000, დედაქალაქი – ლონდონი, სახელმწიფო ენა – ინგლისური, ვალუტა – ფუნტი სტერლინგი

შთამბეჭდავი სანახაობაა 1894 წელს აგებული ლონდონის ტაუერის ხიდის აწეული გვერდები, როცა ტემზაზე გემმა





უნდა გაიაროს. შოტლანდიაში XVII ს-ის დასაწყისიდან მამაკაცებს ქვედაბოლო აცვიათ. სწორედ მაშინ წარმოიშვა შოტლანდიური კილტი. ლეგენდის თანახმად, მეფე არტური მას შემდეგ გახდა ქვეყნის მეფე, რაც მახვილი ექსკალიბური ქვიდან ამოაძრო.







GB

**ბელორუსი**
ფართობი – 207595კმ², მოსახლეობა – 9925000, დედაქალაქი – მინსკი, სახელმწიფო ენები – ბელორუსული, რუსული, ვალუტა – ბელორუსული რუბლი.

ევროპაში იშვიათობად ქცეული ბიზონი საცხოვრებელ ადგილად ხელშეუხებელ ტყის სივრცეებს ამჯობინებს. ბელორუსიის ბიალოვიეჟას ეროვნულ პარკში ჯერ კიდევ შემორჩენილია რამდენიმე ცხოველი. თუმცა, მიუხედავად დაცვის ღონისძიებებისა, ისინი გადაშენების საფრთხის წინაშე დგანან.



BY

**კვიპროსი**
ფართობი – 9251კმ², მოსახლეობა – 765000, დედაქალაქი – ლეფკოზია, სახელმწიფო ენა – ბერძნული, თურქული, ვალუტა – კვიპროსული ფუნტი.

ხატები წარმოადგენს მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდანების ფერწერულ პორტრეტს. სახლის ძველის ან მართლმორწმუნის მაგიდაზე გამოსახულ ქანდაკებებს. ლეგენდის თანახმად ერთი მათგანის – ლუკას დაწერილი ღვთისმშობლის ხატის დასასვენებლად 1080 წელს აიგო კიკოს მონასტერი.



CY

ჯაჭვებიანი ხიდი ბუდაპეშტში



პრაღის რატუშის ასტრონომიული საათი



ცისფერი მეჩეთი სტამბოლში





ბერნარის ჯიშის ძაღლები ალპებში დაზარალებულთა და დაღუპულთა საშველად გამოიყენეს.



ესპანეთისთვის დამახასიათებელი კერძი პაელა

# ევროპელ ბავშვთა  დღესასწაულები

ევროპის დღესასწაულები მეტწილად წარმართული პერიოდიდან, ბიბლიური ისტორიებიდან ან წმინდანთა ცხოვრების შესახებ ლეგენდებიდან მოდის. უმთავრეს დღესასწაულებს მთელ ევროპაში აღნიშნავენ, ოღონდ ყველა ქვეყანაში განსხვავებულად. სხვადასხვა ტრადიცია და წესი ყველას თავისებურ, განსაკუთრებულ ელფერს აძლევს.



აღდგომის დღესასწაულზე ქრისტიანები არა მარტო იესოს აღდგომას ზეიმობენ, არამედ გაზაფხულის დაწყებასაც. აღდგომის კვერცხები გაზაფხულის მახარობელ ყვავილებთან ერთად ახლად გაღვიძებული, აღმდგარი სიცოცხლის სიმბოლოა. თუ რატომ მოაქვს



გერმანელებისთვის კვერცხები აღდგომის კურდღელს, ზუსტად არავინ იცის. შესაძლებელია, ეს ტრადიცია იმასაც უკავშირდებოდეს, რომ ადრეულ კულტურებში კურდღელი ნაყოფიერების სიმბოლოდ მიაჩნდათ.

ინგლისელი ბავშვები 1 მაისს ფერადი ბაფთებით მორთული ხის გარშემო ცეკვავენ. გოგონები გვირგვინებს წნავენ და თავზე იდგამენ. ერთ-ერთ მათგანს მაისის დედოფლად ირჩევენ. ნორვეგიაში, ისევე როგორც მთელ სკანდინავიაში, შუა ზაფხულის [illegible]ობის დღეს მზე მხ[illegible] მცირე ხნით ჩადის. წელიწადის ყველაზე გრძელ დღეს



კოცონებითა და ცეკვებით აღნიშნავენ.

მთელი ევროპა ზეიმობს ქრისტეშობის დღესასწაულს. ევროპის გერმანულენოვან ნაწილში შობის დღესასწაულის კულმინაციად წმიდა ღამე ითვლება, როცა ყრმა იესოს ბავშვებისთვის საჩუქრები მოაქვს. დიდი ბრიტანეთის ბავშვები საშობაო საჩუქრებს 25 დეკემბრის დილამდე უნდა ელოდონ, მათ ღამით სანტა კლაუსი მოიტანს. რუს ბავშვებს მხოლოდ ახალი წლის ღამეს ასაჩუქრებენ, მაგრამ ყველაზე დიდხანს ესპანელ და იტალიელ ბავშვებს უწევთ ლოდინი. მათ 6 იანვარს ასაჩუქრებენ.

ქართველ ბავშვებს საახალწლოდ თოვლის ბაბუა ასაჩუქრებს.



## საძიებელი


ა
[illegible] 11
ანტიკური ხანა 10
აღმოსავლეთ ევროპელები 28,39
აღმ. ევროპა 28,38
[illegible] 40
ბ
[illegible] 15,18 20,29, 37,38
გ
გაზაფხულის [illegible] 22-25
განსხვავებულობა 12
განათლება 16, 21, 38
[illegible] 5-8
[illegible] 16,38
[illegible] 16,18,29,36,40
[illegible] 21,40
დ
[illegible] 10,13,14,17,18,32,38,39
[illegible] 13,17
[illegible] 49
ე
ევროპა, ევროპის კონტინენტი 4,6, 49,50
ევრო 14,15,16,22-26,40
ევროკავშირი 32
ევროპა და [illegible] 10
ევროპის საინვესტიციო ბანკი (ეიბ) 26,27,36
ევროპის კომისია 21,26,27,30,31,40
ევროპარლამენტი ([illegible]) 14,15,16,49
ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ) 23,25,27
ევროპის სასამართლო 27,30,32
ევროპის მინისტრთა საბჭო 26,29,30,36
ევროპის საბჭო, ევროს საბჭო 26-30
ევროპის [illegible] 27,30
ევროპარლამენტი, ევროპის პარლამენტი 26-28,30,31,39,40
ევროს ხელშეკრულებები 14-16,18,26,32
ევროს კონსტიტუცია 14-16,28,38,39
ევრო 23
ევროს წევრი ქვეყნები 14-17,21,23,26,30,32,35,36
[illegible] 33,34,41,47
ვ
ვაჭრობა, სავაჭრო პოლიტიკა 10,16,18,37
ვალუტა 4,5,42
[illegible] 16,22-25,41-47
თ
თავისუფალი გადაადგილების უფლება 19,21
ი
[illegible] 12
ინდუსტრიალიზაცია 12,13
ინფლაცია 22
[illegible] 14,16,26,27,30,33
ისტორია 10-13,16,23
კ
კანონები 15,18,30
კავშირი 16,29,35-37
კლიმატი 6,7,8
კოლონიები 11,38
კომუნიზმი 13
კომისია 27,29,31
კონფერენცია 16,20,21,28,36,39
მ
მაასტრიხტის ხელშეკრულება 15,23
მთავრობა 4,5,46,49
[illegible] 15,26
[illegible] 38
მონარქია 20
მომსახურების გადაადგილება 10
მოსწავლე, სკოლა 21,33,34,40
მოქალაქეები 15,21,26,31,33,35,40
მსოფლიო ომი 12,13,16
მეურნეობა 6,7,41-47
ნ
ნავთობი 5
ნატო 32
ნორმები 18-20
პ
ყ
პარტიები 21
რ
რევოლუცია 11
რეგიონული და სტრუქტურული პოლიტიკა 16,35,36
რენესანსი 11
ს
სასოფლო პოლიტიკა 15,16,28,29,32,38
საერთო ბაზარი 15,22,23,39
[illegible] 16
საბჭოს პრეზიდენტი 28,29
საფრანგეთის რევოლუცია 12
[illegible] 14,17,32
[illegible] 23
[illegible] 16,29,35,36,44
სუბსიდიები 20,21
ფ
ფაშიზმი 13
შ
[illegible]

# ევროპა — ფაქტები და რეკორდები



*ეს ფრინველი დუნაის ციცაბო ნაპირებზე შავი ზღვის შესართავთან ბინადრობს.*

**დუნაი** ევროპის ყველაზე დიდი მდინარე როდია, თუმცა მისი გზა შვარცვალდიდან შავ ზღვამდე მიიკლაკნება და გაივლის გერმანიას, ავსტრიას, სლოვაკეთს, უნგრეთს, ხორვატიას, სერბეთს, ბულგარეთს, რუმინეთს, მოლდოვას და უკრაინას. იგი რამდენიმე დედაქალაქში მიედინება (ვენა, ბრატისლავა, ბუდაპეშტი, ბელგრადი), მასზე 200-ზე მეტი ხიდია გადებული.

ევრაზიის კონტინენტის ევროპული ნაწილი ხმელეთის დაახლოებით 7 პროცენტს შეადგენს, ეს დედამიწის მთლიანი ფართობის 2 პროცენტია. 10 354 636კმ²-ზე დაახლოებით 728 მლნ ადამიანი ცხოვრობს.

ევროკავშირის ტერიტორია 3 970 000კმ²-ზე მეტია, მოსახლეობა კი დაახლოებით — 454 მილიონი.

დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძულია, მისი ფართობი 229 885კმ²-ია.

ევროპის უმაღლესი მწვერვალებია: იალბუზი (მდებარეობს კავკასიონის მთაგრეხილზე) — 5642მ, მონბლანი სავოის ალპებში — 4808მ და მონტე როზა იტალიაში — 4637მ.

ევროპის ყველაზე გრძელი მდინარეებია: ვოლგა — 3530კმ, დონი — 2850კმ და დნეპრი — 2285კმ.

მსოფლიოში ყველაზე პატარა სახელმწიფო ვატიკანი რომის შუაგულში მდებარეობს. მისი ფართობი 44 ჰექტარია (0,44კმ²).

ალპები ევროპის ყველაზე გრძელი და მაღალი მთიანეთია. იგი გადაკვეთს 7 ქვეყანას, 1200კმ-ზე მეტი სიგრძისაა და 250კმ-მდე სიგანის.

ევროპის ყველაზე დიდი ტბა რუსეთში მდებარეობს: ლადოგის ტბის ფართობი 17 703კმ²-ია.

ფინეთში 55 000-ზე მეტი ტბაა, ისინი ქვეყნის ფართობის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს.







ჩვენი მსოფლიო დროის 24 ზონადაა დაყოფილი. გრინვიჩის ნულოვანი მერიდიანიდან (ინგლისი) დაწყებული, აღმოსავლეთისკენ თითოეული დროის ზონისთვის აითვლება თითო საათი. ყოველ დროის ზონაში ერთი და იმავე დროით სარგებლობენ. ეს ზონები ყოველთვის როდი ემთხვევა გეოგრაფიულ მდებარეობას. იგი ხშირად სახელმწიფო საზღვრებს ეთანხმება ხოლმე. შეთანხმდნენ, რომ მთელ რეგიონში ე.წ. შუა ევროპული დრო (შევ.) იმოქმედებდა. ისეთი დიდი ქვეყნები, როგორიცაა რუსეთის ფედერაცია, დროის რამდენიმე ზონადაა დაყოფილი.